ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ივნისის 1	№ 9 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 100. წესები შეგირდობის შესახებ სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან.

„ 101. ადგილობრივი ფინანსების დებულების 21 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 102. ძირითადი და დამატებითი რენტის განაკვეთების როოდენობის შესახებ რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მიწის ნაკვეთებისათვის 1925-26 საბიუჯეტო წელს.

„ 103. „ბუდდა"-ს მარკის სუბლიმირებული გოგირდის ფასის შესახებ.

„ 104. წყალსატეტივო საქმეზე მომუშავე პირებზე სოციალური დაზღვევის გაუვრცელებლობის შესახებ.

„ 105. 1926-27 წლისა და წარსული წლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის მოხსნის შესახებ.

„ 106. ა/კსფსრ 1927-28-სა და შემდგომი საბიუჯეტო წლების ხარჯთაღრიცხვების მეტრული ზომა-წონის ნიშნებით შედგენის შესახებ.

„ 107. ა/კსფსრ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების კომუნალურ წყალსადენთა წყლის მეტრული წყვილ ადნუსხვისა და დატარიფების შესახებ.

„ 108. იმ სასაზონო და დროებით სამუშაოთა ნუსხის შასახებ, რაზედაც ვრცელდება ნაწილობრივი სოციალური დაზღვევა.

„ 109. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

„ 110. სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთათვის ნაწილობრივი დაზღვევის შეფარდების წესის შესახებ.

„ 111. საბავშვო სახლების მოწაფეთა მომზადების შესახებ შრომისა და საერთო სარგებლობის მოღვაწეობისათვის.

„ 112. შვეიცარიის მიმართ ეკონომიური ბოიკოტის მოსპობის შესახებ.

„ 113. სანიტარობის საწარმოში მომუშავეთა ყოველკვირეული დასვენების დღის შესახებ.

„ 114. ტყავეულობის მაქსიმალური ო�dფრესი ფასებისა და წანამატების შესახებ.

„ 115. დებულება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სასაცივო საქმის კომიტეტის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხ. 116. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1927-28 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა, მსელელობისა და დამტკიცების წესისა და ვადების შესახებ.
„ 117. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.
„ 118. სსსწავლო თავმოყრისა, მოძრავი თავმოყრისა, საველე მიმოსვლისა და სამზღვრო თამაშისათვის გაწეული სათადარიგო სამეთაურო შედგენილობის უფლებათა და უპირატესობათა შესახებ.
„ 119. ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს მიერ—ა/კსფსრ შავი-ზღვის ნავთსადგურებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სასყიდლის ნორმის თაობაზე—გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.
„ 120. სახელმწიფო სამშენებლო საწარმოთა და მეტი წილი სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სამშენებლო სააქციო სახოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) შესახებ.
„ 121. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 24, 24, 28, 30 და 34 მუხლების დამატების შესახებ.
„ 122. ხე-ტყის მასალის ბითუმად და ცალობით გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკფსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

100. სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან არსებული შეგირდობის წესების დამტკიცების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შინამრეწველებთან და ხელოსნებთან, სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელებში არსებული შეგირდობის ძირითად დებულებათა შესახებ“ 1926 წ. ოქტომბრის 15-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 71 №-რი, მუხ. 543) დადგენილების 1-ლი მუხ. თანახმად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 26. ტფილისი-სასახლე.

წ ე ს ე ბ ი

შეგირდობის შესახებ სასარეწაო კოოპერაციაში და შრომის არტელებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან.

I. წესების გავრცელების ფარგალი.

1. წესები ესე ვრცელდება:

ა) ხელმარტოდ ან არა უმეტეს, ვიდრე ორი მუშის დახმარებით ქალაქად და სოფლად მომუშავე შინამრეწველებისა და ხელოსნების იმ შეგირდებზე, რომელნიც მათი ოჯახისა ან კომლის წევრნი არ არიან;

ბ) განსაზღვრული წესისამებრ რეგისტრაციაქმნილ სასარეწაო და კოოპერატიულ ამხანაგობასა (არტელში) და შრომის არტელში მომუშავე შეგირდებზე.

შენიშვნა. წესები ესე შეიფარდება იმისდა მიუხედავად, არის თუ არა სპეციალურად მოწყობილი საწარმო ან მექანიკური მამოძრავებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმ ხელოსნებისა და შინამრეწველების შეგირდებზე, რომელნიც ამა წესების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ არ არიან, გავრცელდება საერთო კანონმდებლობა მოზარდთა შრომის შესახებ.

3. წესები ესე არ გავრცელდება საბავშო სახლების მიერ შეგრდომილ ბავშვებზე, რომელთა შრომის პირობების შესახებ არსებობს სათანადო კანონდებულება.

II. შეგირდების დაქირავების წესი.

4. შეგირდად მიღება შეიძლება მხოლოდ ისეთი პირისა, რომელსაც მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის; ხოლო სოფლად შეიძლება შეგირდად მიღება ისეთი პირისაც, რომელსაც 12 წლის ასაკისათვის მიუღწევია, იმ აუცილებელი პირობით კი, რომ 14 წლამდე იგი იღებდეს მონაწილეობას მარტოოდენ მსუბუქ სამუშაოში. შეგირდობის ვადა ამა თუ იმ პროფესიაში 4 წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს იმ მავნე და ჯანმრთელობისათვის საშიში პროფესიისა, სამუშაოსი და ხელობის სია, სადაც 16 წლისაზე უმცროსნი არ მიიღებიან.

5. მისაღებ შეგირდთა უკიდურესი ასაკი განისაზღვრება 18 წლით, ხოლო იმ პირობით, რომ სწავლება დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს, ვიდრე შეგირდი მიაღწევდეს 20 წლის ასაკს.

6. სახლში მომუშავე შინამრეწველებთან და ხელოსნებთან მყოფი შეგირდების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს თითო ოსტატზე ორ შეგირდს. საერთო საარტელო სახელოსნოებში მყოფი შეგირდების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სახელოსნოში მომუშავე არტელის წევრთა რიცხვს.

7. შეგირდების სასწავლებლად მიღება მოხდება ნებაყოფლობითი შეთანხმებით—ერთის მხრით—ოსტატსა (შინამრეწველსა, ხელოსანსა, არტელსა ან არტელის წევრსა) და—მეორეს მხრით—შეგირდსა ან მისი სახელით და თანხმობით მომქმედ პირსა თუ ორგანიზაციას შორის.

III. ქირავნობის პირობა.

8. სასწავლებლად მიღება მოხდება მთლად სწავლების ვადით ოსტატსა და შეგირდს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულობის თანახმად. წერილობითი ხელშეკრულობა ოსტატთან შეიძლება დადებულ და ხელმოწერილ იქნეს თვით შეგირდის მიერ ან, შეგირდის სურვილისამებრ, მისი სახელით, ხელშეკრულობა შეიძლება დადებულ და ხელმოწერილ იქნეს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლის მიერ, და, აგრეთვე, შეგირდის მშობლებისა თუ მეურვის მიერ.

9. ხელშეკრულობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) ის პროფესია, რაც ოსტატმა შეგირდს უნდა ასწავლოს;

ბ) სწავლების ვადა;

გ) ოსტატის მოვალეობანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეგირდის მოვალეობანი;

ე) სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლიობა და განაწილება;

ვ) გასამრჯელოს რაოდენობა, სახე და მიცემის წესი და ვადა;

ზ) შეებულების ხანგრძლიობა და გამოყენების წესი;

თ) სპეცტანისამოსის მიცემა.

10. ის ხელშეკრულობა, რომლითაც შეგირდის მდგომარეობა, ამ წესებთან შედარებით, გაუარესებულ იქნება, ბათილია.

11. უკეთუ წერილობითი ხელშეკრულობა დადებულ არ იქნება ან დადებული ხელშეკრულობა, ამა წესების მე-10 მუხლის თანახმად, ბათილი იქნება,—დაეა გადასწყდება ამა წესების მიხედვით. ამასთანავე გასამრჯელო გამოანგარიშებულ იქნება სათანადო კატეგორიის შეგირდის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობით, რაც უწყებულ ადგილას არსებობს.

12. ორი კვირის განმავლობაში შეგირდის მიღების დღიდან ოსტატი მოვალეა ხელშეკრულობის ასლი წარუდგინოს: ქალაქად—შრომის ინსპექციას, ხოლო სოფლად—სოფლის საბჭოს.

13. უკეთუ წარდგენილ ხელშეკრულობაში აღმოჩენილ იქნება ისეთი პირობა, რაც, ამა წესებთან შედარებით, შეგირდის მდგომარეობას აუარესებს,—შრომის ინსპექტორმა თუ სოფლის საბჭომ, არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა ხელშეკრულობის მიღების დღიდან, წინადადება უნდა მისცეს მხარეთ დაუყოვნებლივ შეიტანონ ხელშეკრულობაში საჭირო ცვლილება.

IV. სამუშაო დრო და დასვენება.

14. შეგირდის სამუშაო დროის ხანგრძლიობა განსაზღვრულ იქნება შეთანხმებით, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ქალაქად—18 წლისაზე უმცროსისათვის—6 საათს, ხოლო 18 წლისა და ამაზე უფროსისათვის—8 საათს დღე-და-ღამეში:

ბ) სოფლად—16 წლისაზე უმცროსისათვის—6 საათს, ხოლო 16 წლისა და ამაზე უფროსისათვის—8 საათს დღე-და-ღამეში.

15. ოსტატი მოვალეა განთავისუფლოს შეგირდი მუშაობისაგან შეთანხმებით განსაზღვრული კვირაში ერთი დღით დასასვენებლად.

16. მე-15 მუხლში აღნიშნული ყოველკვირეული დასვენების გარდა, შეგირდი განთავისუფლებულ უნდა იქნეს შემდეგ სადღესასწაულო და რევოლიუციონურ დღეებში: 1) იანვრის 1-ლს—ახალი წელი, 2) იანვრის 22-ს—დღე იანვრის 9-სა; 3) მარტის 12-ს—თვითმპყრობელობის დამხობის დღე; 4) მარტის 18-ს—პარიზის კომუნის დღე; 5) მაისის 1-ლს—ინტერნაციონალის დღე; 6) სექტემბრის 20-ს—26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტის დღე; 7) ნოემბრის 7-ს—პროლეტარული რევოლიუციის დღე და 8) რესპუბლიკების გასაბჭოების დღე: აზერბაიჯანში—აპრილის 28, საქართველოში—თებერვლის 25 და სომხეთში—ნოემბრის 28.

17. მე-16 მუხლში აღნიშნული სადღესასწაულო ~~ბ~~ რევოლიუციონური დღეების გარდა, შეგირდი წლის განმავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან 6 განსაკუთრებული დასვენების დღეში (ადგილობრივი საჯარო დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაულები), რასაც დააწესებს სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

18. ყველა უქმე დღესა და აგრეთვე სამუშაო დღეს, მუშაობისაგან თავისუფალ დროს, ოსტატს უფლება არა აქვს აუკრძალოს შეგირდს სადმე წასვლა და არასამუშაო დროის ისე გამოყენება, როგორც მას უნდა (სკოლაში და კურსებზე სიარულისათვის და სხვ.).

19. ოსტატი ვერ აუკრძალავს შეგირდს მონაწილეობა მიიღოს მუშაობის დროს საბჭოთა არჩევნებში, პროფესიონალურ კავშირთა, სრულიად საკავშირო ალკა და მომხმარებელი კოოპერაციის ორგანოების ყრილობებსა და კონფერენციებში დელეგატის სახით.

20. ყოველწლივ თვითეულ შეგირდს სამუშაო წლის განმავლობაში უნდა მიეცეს შვებულება არა ნაკლებ 1 თვისა ხელშეკრულებით შეპირებული სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით.

შვებულების გამოყენების წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით; ამასთანავე სოფლად მოუშაავე შეგირდის მიმართ შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორ ვადად.

შენიშვნა 1. დათხოვნის დროს იმ შეგირდს, რომელსაც 11 თვეზე ნაკლები არ უმუშავნია და თავისი შვებულება არ გამოუყენებია, უნდა მიეცეს კომპენსაცია თვიური სამუშაო ხელფასის რაოდენობით, ყოველგვარი გასამრჯელოს ჩათვლით.

შენიშვნა 2. დათხოვნის დროს იმ შეგირდს, რომელსაც 6 თვეზე მეტი უმუშავნია, ხოლო არა უმეტეს 11 თვისა, და თავისი შვებულება არ გამოუყენებია, უნდა მიეცეს კომპენსაცია ნამუშევარი დროის პროპორციით და ყოველგვარი გასამრჯელოს ჩათვლით.

V. შრომის გასამრჯელო.

21. შეგირდისათვის გასამრჯელოს მიცემის წესი, რაოდენობა, სახე და ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს შემდეგი დებულებანი:

ა) პირველი ნახევარწლის განმავლობაში ოსტატმა უნდა მისცეს შეგირდს საკმელ-სასმელი და საცხოვრებელი ადგილი ან შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი სასყიდელი;

ბ) მეორე ნახევარიწლიდან დაწყებული შეგირდმა უნდა მიიღოს, შეთანხმების თანახმად, ზედმიწევნით განსაზღვრული სამუშაო ხელფასი ნატურალური, ფულადი ან შერეული ფორმით;

გ) სწავლების მეორე წლიდან დაწყებული შეგირდმა უნდა მიიღოს სამუშაო ხელფასი, რაც, ნატურალური გასამრჯელოს ჩათვლით, არ შეიძლება იყოს უწყებული ადგილისათვის დაწესებულ სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები; თანაც ხელშეკრულობით გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ, სწავლების მეორე წლიდან დაწყებული, სამუშაო ხელფასის 25%-ზე არა ნაკლები შეგირდს უნდა ეძლეოდეს ფულად, და რომ სამუშაო ხელფასი უნდა დიდდებოდეს სწავლების თანდათანი მსვლელობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. სამუშაო ხელფასის ფულადი ნაწილი უნდა ეძლეოდეს შეგირდს თვეში ერთელ მაინც.

ოსტატისა და შეგირდის შეთანხმებით ნაწილი სამუშაო ხელფასისა შეიძლება შეტანილ იქნეს შეგირდის სახელზე შემნახველ სალაროში, იმ პირობით-კი, რომ ანაბარი მიეცეს შეგირდს სწავლების დამთავრებისას ან, უკეთუ იგი დათხოვნილ იქნება (ან თვით წავა),—სწავლების ვადის დამთავრებამდე.

23. ოსტატს უფლება არა აქვს შეგირდს ფულადი ჯარიმა დაადოს.

VI. ოსტატის ვალდებულება და შეგირდის მოვალეობა.

24. ოსტატი მოვალეა შეასრულოს ხელშეკრულობის ყველა პირობა: ასწავლოს შეგირდს, გადაუბადოს დაწესებულ ვადაზე სამუშაო ხელფასი და აძლიოს შეგირდს ხელშეკრულობით შეპირებული ტანსაცმელი, საცხოვრებლად გამოსადეგი სადგომი და საუზმელ-სასმელი იმავე თვისებისა, რაც ინმარება არტელში და არტელის წევრისა, შინა-მრეწველისა და ხელოსნის ოჯახში.

25. სწავლების დროს ოსტატმა არ უნდა დააბანდოს შეგირდი სხვა მუშაობაზე, რასაც სწავლებასთან კავშირი არა აქვს. შეიძლება შეგირდის ნაწილობრივ გამოყენება ისეთი სამუშაოსათვის, რასაც პირდაპირი კავშირი არა აქვს სწავლებასთან, ხოლო რაც დაკავშირებულია წარმოებასთან (მასალის ყიდვა, დამკვეთისათვის ნაკეთობის გაგზავნა, სახელოსნოს დალაგება და სხვ.).

უკეთუ ოსტატი, თავისი სარეწავის გარდა, თვით უშუალოდ ეწევა სოფლის მეურნეობას, მას შეუძლიან მოიხმაროს შეგირდი თავის მეურნეობაში სამუშაოდ (მინდვრის მუშაობა, ოთხფეხი საქონლის მოვლა და სხვ.), იმ პირობით-კი, რომ ასეთმა მოხმარებამ გავლენა არ იქონიოს სწავლების მსვლელობაზე.

26. ოსტატი მოვალეა უფასოდ მისცეს შეგირდს მუშაობისათვის საჭირო იარაღი და ხელსაწყო.

27. შეგირდი მოვალეა შეასრულოს სამუშაო კეთილსინდისიერად და მუყაითად და დაემორჩილოს ოსტატის ყველა განკარგულებას, უკეთუ იგი არ ეწინააღმდეგება ამა წესებსა და შეთანხმების პირობებს,

28. ოსტატთან მუშაობიდან წასვლისას შეგირდი მოვალეა ჩააბაროს ოსტატს მისთვის (შეგირდისათვის) გადაცემული ქონება (მუშაობისათვის საჭირო იარაღი, მასალა და სხვა ხელსაწყო).

VII. შეგირდის დათხოვნა და წასვლა.

29. ოსტატს შეუძლიან დაითხოოს სწავლებისათვის მიღებული შეგირდი (ან მოშალოს ხელშეკრულობა) შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ შეგირდი დაჰკარგავს შრომის უნარს ორთვეზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ;

ბ) უკეთუ სათანადოდ დამოწმებული იქნება, რომ შეგირდს სწავლის უნარი არა აქვს;

გ) უკეთუ საწარმო დახურულ იქნა, სასარეწაო მოისპო ან საწარმოს წარმოება, სადაც შეგირდი სწავლობს, თვალსაჩინოდ შემცირდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უკეთუ სათანადო საწარმოს პატრონის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა;

ე) უკეთუ შეგირდი სისტემატიურად თავს აარიდებს მუშაობას, ან არაპატივსადებ მიზეზით სამუშაოდ არ გავა ერთი-ერთმანეთზე სამი დღის განმავლობაში, ან და საერთოდ თვეში ექვსი დღის განმავლობაში;

ვ) უკეთუ შეგირდი ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რასაც პირდაპირი კავშირი ექნება მის მუშაობასთან, და რაც დამტკიცებულ იქნება სასამართლო წესით, აგრეთვე, უკეთუ შეგირდი იზოლაციაში დაჰყოფს ორ თვეზე მეტ ხანს (გამასწორებელ დაწესებულებაში და სხვ.).

30. შეგირდს უფლება აქვს თავი დაანებოს მუშაობას (მოშალოს ხელშეკრულობა) იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ოსტატი უხეშად მოექცევა შეგირდს;

ბ) უკეთუ ოსტატი სისტემატიურად დაარღვევს ხელშეკრულობით და ამა წესებით გათვალისწინებულ თავის მოვალეობას;

გ) უკეთუ ოსტატი თვალსაჩინოდ გააუარესებს მუშაობის პირობებს, რაც საფრთხეს წარმოადგენს შეგირდის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

31. უკეთუ შეგირდობის ხელშეკრულობა მოშლილი იქნება 29 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული შემთხვევის გამო, შეგირდს ეს წინასწარ უნდა ეცნობოს ორი კვირით ადრე ან მიეცეს ოსტატისაგან გამოსასვლელი დახმარება (კომპენსაცია ორი კვირის სამუშაო ხელფასის რაოდენობით, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ, ვიდრე უწყებული ადგილისათვის დაწესებული სამუშაო ხელფასის საბელმწიფო მინიმუმის ნახევართვის რაოდენობით). ზემოაღნიშნული რაოდენობის კომპენსაცია შეგირდს მიეცემა აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ იგი თავს დაანებებს მუშაობას ამა წესების 30 მუხლში აღნიშნული მიზეზით.

32. შეგირდობის ხელშეკრულობა შეიძლება მოშლილ იქნეს შრომის ინსპექტორის მიერ ან სასამართლო წესით, როგორც 30 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელშეკრულობის მოუშლელობას შეუძლიან შეგირდს აშკარა ზიანი მიაყენოს.

შენიშვნა. პროფესიონალურ კავშირს და შეგირდის მშობლებს ან მეურვეს უფლება აქვთ ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღძრან შრომის ინსპექციისა და სასამართლოს წინაშე საკითხი შეგირდობის ხელშეკრულობის მოშლის შესახებ.

33. უკეთუ, ხელშეკრულობის თანახმად, ოსტატი მოვალეა მისცეს შეგირდს ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ვინიცობაა შეგირდი დათხოვნილ იქნა ან თითონ წავიდა ამ ვადის გასვლამდე, შეგირდს მიეცემა, ნამუშევარი დროის მიხედვით, ნაწილი მისაცემი ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ღირებულებისა.

34. შეგირდის დათხოვნისა ან წასვლის დროს ოსტატს არ შეუძლიან დაუჭიროს შეგირდს მისი დოკუმენტები (ვინაობის მოწმობა და სხვ.), აგრეთვე პირადად მისი საკუთარი ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ლოგინი და სხვ.).

35. შეგირდის დათხოვნისა ან წასვლის დროს ოსტატი მოვალეა მისცეს შეგირდს მოწმობა განვლილი სწავლების შესახებ, ამ სწავლების ვადის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. სოციალური უზრუნველყოფა.

36. ქალაქად სწავლებაში მყოფ შეგირდთა სოციალური დაზღვევა სავალდებულოა. შეგირდთა სოციალური დაზღვევის წესი და გადასახადთა რაოდენობა განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით. იმ ხნის განმავლობაში, რაც დაზღვეველი არ აძლევს შეგირდს სამუშაო ხელფასს ფულად, იგი განთავისუფლდება სოციალური დაზღვევის გადასახადის შეტანის ვალდებულებისაგან. სოფლად სწავლებაში მყოფ შეგირდთა დაზღვევა სავალდებულო არ არის.

37. უკეთუ შეგირდი დაზღვეული არ არის (მუხ. 36), ოსტატი მოვალეა გადაუხადოს დროებით შრომის უნარდაკარგულ შეგირდს ხელშეკრულობით განსაზღვრული გასამრჯელო და მისცეს მას საცხოვრებელი ადგილი და საკმელსასმელი ორი თვის განმავლობაში ავადმყოფობის გამო მუშაობის შეწყვეტის დღიდან; იმ შეგირდს, რომელსაც შრომის უნარი არ დაუკარგავს, ხოლო მუშაობას ჩამოშორებულია გადამდები სნნის გავრცელების თვიდან ასაკილებლად, ოსტატი მოვალეა გადაუხადოს ორი თვის განმავლობაში ხელშეკრულობით განსაზღვრული სამუშაო ხელფასი—ყოველი სახისა ფულად. სამკურნალო დაწესებულებანი მოვალენი არიან გაუწიონ შეგირდებს ავადმყოფობის დროს სამკურნალო დახმარება უფასოდ.

შენიშვნა. უკეთუ შეგირდი მძიმე ავად გახდა ან მას უბედურება რამ შეემთხვა, ოსტატი მოვალეა ან მიიყვანოს ავადმყოფი ექიმთან, საავადმყოფოში თუ სამედიცინო პუნქტში, ან მიჰგვაროს ავადმყოფს მედიცინაში მომუშავე პირი.

IX. ოსტატსა და შეგირდს შორის აღძრული კონფლიქტების გადაწყვეტა

38. დავა ოსტატსა და შეგირდს შორის გადასწყდება ან სასამართლო წესით, ან განსაკუთრებულ სამმრივებლო კომისიაში, რომელიც მოეწყობა:

ა) ქალაქად—შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ადგილობრივ ორგანოსთან (შრომის ინსპექციასთან) შემდეგ წარმომადგენელთა შედგენილობით: შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოსი (თავმჯდომარე), პროფკავშირის, ან მშობლებისა თუ მეურვისა (შეგირდის მხრით), ან თვით მეგირდისა და კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციისა, რომელიც წარმოადგენს არტელისა, არტელის წევრისა, შინამრეწველისა თუ ხელოსნის მხარეს, ან თვით ხელოსნისა, შინამრეწველისა, არტელის წევრისა ან და არტელის წარმომადგენლის მონაწილეობით;

ბ) სოფლად—ასეთსავე კომისიაში, რომელიც მოეწყობა სოფლისა თუ უბნისა და დაირის თუ თემის აღმასრულებელ კომიტეტთან—აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და იმ პირთა შედგენილობით, რომელნიც წარმოადგენენ შეგირდისა და ოსტატის მხარეს.

მომრიგებელ კომისიაში დავა გადასწყდება მარტოოდენ მხარეთა შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მოდავე მხარეთ შეუძლიანთ სასამართლოს მიმართონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. შრომისა თუ სახალხო სასამართლო მოვალეა გაარჩიოს ოსტატისა და შეგირდის დავა არა უგვიანეს ორი კვირისა სასამართლოში საქმის შესვლის დღიდან.

X. პასუხისმგებლობა ამა წესების დარღვევისათვის და ზედამხედველობა ამა წესების აღსრულებისათვის.

39. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, სათანადო ორგანიზაციასთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქციები და განმარტებები ამა წესების განსავითარებლად.

40. ოსტატი ამა წესებისა და მის განსავითარებლად გამოცემული ინსტრუქციისა და განმარტების დარღვევისათვის დევნილ უნდა იქნეს სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

41. ზედამხედველობა ამა წესების აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის სახალხო კომისარიატებს და მათ ორგანოებს.

42. ამა წესების გამოცემისათანავე ძალასა ჰკარგავს ყველა, წინად გამოცემული და ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი დებულება და დადგენილება—შინამრეწველობასა და ხელსნობაში შეგირდობის შესახებ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1468 №-ში 1927 წ. მაისის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

101. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 21 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 21 მუხლი და მისი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„მუხ. 21. ადგილობრივ საბჭოებს დაეკისრებათ მე-20 მუხ. „ა" ლიტერაში ჩამოთვლილ ნაწილთათვის, დაწესებულებათათვის და საწარმოთათვის ქვემოაღნიშნული კომუნალური მომსახურეობის გაწევა:

ა) ელექტრონის ენერგიით, გაზით და გასანათებელი მასალით;

ბ) წყალსადენის წყლის მიწოდებით;

გ) უწმინდურობისა და ნაგავის გატანისათვის საჭირო მუშაობის შესრულებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საკვამლე მილების გაწმენდით.

ამა მუხლში ჩამოთვლილი ხარჯები ანაზღაურებულ უნდა იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი სახსარიდან კვარტალობით.

კომუნალური მომსახურეობის ნორმებს დაწესებს სსრკ სახალხო კომისართა საბჭო. სასყიდლის ნიხრს დაადგენს სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთანაა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ადგილობრივი საბჭოების მიერ წარდგენილი ცნობების მიხედვით. შეუთანხმებლობას გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საერთო-საკავშირო ბიუჯეტით ამ ხარჯების ანაზღაურების წესი განისაზღვრება სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დამტკიცებული წესებით.

შენიშვნა. ნაგავის გატანისათვის საკირო მუშაობის წარმოება დაეკისრება, ამა მუხლის წესისამებრ, ადგილობრივ საბჭოებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ სამუშაოს მუშათა და გლეხთა წოთელი არმიის ნაწილი, დაწესებულება და საწარმო ვერ შეასრულებს სათანადო სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობის გამო.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმ. **ა. ბეკზადიანი.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. აპრილის 13. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა"-ს 1469 №-ში 1927 წ. მაისის 7-ს.

დადგენილება № 18 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

102. 1925-26 საბიუჯეტო წელში ძირითადი და დამატებითი რენტის განაკვეთების რაოდენობის შესახებ რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მიწის ნაკვეთებისათვის, რომლებიც ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სამეურნეო ორგანოების გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო საწარმოთ უპირავთ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—საქალაქო მიწებზე და ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწებზე რენტის გადახდევინებია შესახებ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

1923 წ. ნოემბრის 12-ს თარიღით გამოცემული („სსრკ კენ. აღმ. კ-სა, სახ. კომის. საბჭოს და შრ. და თავდაცვის საბჭოს ვესტნიკ"-ის 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 318) დადგენილების მე-8 მუხლისა და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო. კომისართა საბჭოს მიერ—ტრანსპორტისათვის მიჩენილი მიწების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ—1925 წ. აგვისტოს 28-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 65 №-რი, მუხ. 477) დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 70 №-რი, მუხ. 541) 1925—1926 საბიუჯეტო წლისათვის დაწესებული ძირითადი და დამატებითი რენტის განაკვეთები რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც სსრკ ცენტრალური სამეურნეო ორგანოების გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო საწარმოთ უპირავთ, გავრცელებულ იქნეს 1925-26 საბიუჯეტო წელში რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სამეურნეო ორგანოების გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო საწარმოთ უპირავთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმ. **ს. ბეკზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. აპრილის 12. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1470 №-ში 1927 წ. მაისის 8-ს.

დადგენილება № 19|194 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(შაწესრაგების სამმართველო)

1927 წ. აპრილის 26.

103. „ბუდდა"-ს მარკის სუბლიმირული გოგირდის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926. წ. აპრილის 26-ს ოთარიღისა და 20/76 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 1. დაწესებულ იქნეს „ბუდდას მარკის სუბლიმირული გოგირდზე შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საგასაცემო ფასი ფრანკო-ვაგონი ბათუმში—16 ბან. და 70 კაპ. ცენტნერი (100 კილო) ან 16,7 კაპ. კილო ბრუტტო ნეტოსთვის.

§ 2. დაწესებულ იქნეს უკიდურესი წანამატი ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ ფასზე ყველა რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრისათვის და სახელმწიფო დაწესებულებისათვის, როდესაც სამპორტო გოგირდი ზემოაღნიშნული მარკისა ბითუმად გაიცემა—ფრანკო-ვაგონი ბათუმში—1,5 პროც., ხოლო ფრანკო-თავის საწყობში—4 პროც., რკინის გზის ფრახტისა, საწყობში მიტანისა, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ფაქტიური ღირებულების დარიცხვით.

§ 3. როდესაც პირველი საფეხურის კოოპერაცია ზემოაღნიშნული მარკის გოგირდს უშუალოდ მომხმარებელს მიჰყიდის, უკიდურესი წანამატი საგასაცემო ფასზე—ფრანკო-ვაგონი ბათუმში—დაწესდება 11 პროც. რაოდენობით, რკინის გზისა, წყალსავალი გზისა და ჭაპანზიდვის ფრახტისა, დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და საწყობში მიტანის ფაქტიური ღირებულების დარიცხვით.

§ 4. ა/კსფარ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში წინადადება ეძლევათ მიიღონ სახელმძღვანელოდ მე-2 და 3 §-ში აღნიშნული უკიდურესი წანამატი ძირითად საბითუმო ფასზე და დააწესონ ახალი მტკიცე საგასაცემო ფასები რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრებისა და მათი ქვემდგომი ქსელისათვის და აგრეთვე მოვაჭრე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის.

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1470 №-ში 1627 წ. მაისის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 29 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 24.

104. წყალსატივტივო საქმეში მომუშავე პირებზე სოციალური დაზღვევის გაუვრცელებლობის შესახებ.

შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და 68 №-რის დადგენილება „წყალსატივტივო საქმეში მომუშავე პირებზე სოციალური დაზღვევის გაუვრცელებლობის შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის
მთავარ სამმართველოს უფროსის მაგივრ **ევანგულოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1927 წ. მარტის 3. № 68.

წყალსატივტივო საქმეში მომუშავე პირებზე სოციალური დაზღვევის გაუვრცელებლობის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საბჭო ადგენს:

სოციალური დაზღვევა არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელნიც მუშაობენ წყალსატივტივო საქმეზე (წყალთან მიტანა, წყალში ჩაყრა, წყალში გაფანტული სატივტივო მასალის თავმოყრა და წინ წაგდება, ხე-ტყის საპერი მახეების დაგება, სატივტივო მასალის გასხეპა, ჩაძირული მასალის ამოღება, ჯაგნარისაგან ნაპირების გაწმენდა, პაწია კუნძულებისა და კონცხების მოთხრა, მცენარეების ფესვებისა და სხვ. ამისთანა რამის ამოგდება სატივტივო მასალის დაუბრკოლებელი მსვლელობისათვის, ხე-ტყის დაცვა ჯზაში, ხე-ტყის დაცვა გადმოტვირთვისა და ტივებად შეკვრის ადგილებში ქალაქ-გარე, მეოქანის ნავკურკლებზე და ტივებზე დატვირთვა და გადმოტვირთვა, — უკეთუ მუშაობას ამისთანა სამუშაოზე აწარმოებენ ქალაქ-გარე ადგილებში ივივე პირნი, ვინც წყალსატივტივო საქმეზე მუშაობს).

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიაკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1472 №-ში 1927 წ. მაისის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 19 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

105. 1926-27 წლისა და წარსული წლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის მოხსნის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „გადასახადთა გადახდევინების დებულების 41 მუხლის დამატების შესახებ“ 1926 წ. სექტემბრის 17 თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 63 №-რი, მუხ. 471) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1926-27 წლისა და წარსული წლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენისა და საურავის მთლად ან ნაწილობრივი მოხსნა, აგრეთვე გადახდის ვადის განაწილება ან გადადება მოხდება შემდეგი კატეგორიის მეურნეობათათვის:

ა) რომელიც 1926-27 წელს განთავისუფლებულია გადასახადისაგან შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით;

ბ) რომელიც მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია 1926-27 წ. გადასახადისაგან სტიქიური უბედურების გამო;

გ) იმ გადასახლებულთა და განსახლებულთა მეურნეობათათვის, რომელნიც გადასახადისაგან პირველად 1926-27 წელს არიან განთავისუფლებულნი;

დ) წითელარმიელთა, ინვალიდთა და მოსწავლეთა ნაკლებად ღონიერი მეურნეობათათვის;

ე) ისეთი მეურნეობისათვის, რომელსაც უკვე შეეფარდა გადახდევინების იძულებითი ღონისძიება, რამაც დამაკმაყოფილებელი შედეგი არ გამოიღო, რადგანაც, გაუსხვისებელი ქონების გარდა, სხვა რამ ქონება არ აღმოჩნდა;

ვ) დანარჩენ ნაკლებად ღონიერ მეურნეობათათვის, თანახმად გადახდის უუნარობის აქტისა, რაც შედგენილ უნდა იქნეს მენარჩენის მიმართ, გადასახდათა გადახდევინების დებულების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. № 70, მუხ. 518), იძულებითი გადახდევინების ღონისძიების შეფარდების დროს.

2. სას.-სამ. გადასახადის ნარჩენის გადახდის ვადის გადადებასა და განაწილებას, აგრეთვე მთლად ან ნაწილობრივ მოხსნას მოახდენს:

ა) სამარტოხელო საგლეხო მეურნეობისათვის—საუბნო, სათემო და სადაირო საგადასახადო კომისია, გადამხდელის თხოვნით;

ბ) კოლექტიური მეურნეობისათვის—სამაზრო საგადასახადო კომისია, ამ მეურნეობის წერილობითი თხოვნით, რაც საუბნო, სათემო და სადაირო საგადასახადო კომისიის მეშეეობით აღიძვრის. სამაზრო საგადასახადო კომისიის დადგენილება საბოლოოა. საუბნო, სათემო და სადაირო საგადასახადო კომისიის დადგენილება არა უმეტეს, ვიდრე ე მან. როოდენობის ნარჩენის მოხსნისა და გადახდის ვადის გადადებისა ან განაწილების შესახებ—საბოლოოა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივე დადგენილება ხუთ მანეთზე მეტი თანხის შესახებ—ძალაში შედის საქმაზრო საგადასახადო კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ.

3. თხოვნის შეტანის უკიდურეს ვადად დაწესებულ იქნეს 1927 წ. ივნისის 10.

4. ნარჩენის გადახდის ვადის გადადება და განაწილება შეიძლება არა უგვიანეს 1927-28 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების პირველი ვადისა.

5. ინსტრუქციის გამოცემა ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მაისის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1473 №-ში 1927 წ. მაისის 12-ს.

საკავშირო დადგენილება № 20 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წლის აპრილის 29.

106. ა/კსფსრ 1927-28-სა და შემდგომი საბიუჯეტო წლების ხარჯთაღრიცხვების მეტრული ზომა-წონის ნიშნებით შედგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ს „გ" პუნქტის აღსასრულებლად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მე-11 №-რის საკავშირო დადგენილების დამატებად წინადადება ეძლევა ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, უწყებას, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციას თავისი ხარჯთაღრიცხვა, სამრეწველო-საფინანსო გეგმა და სხვ. 1927-28 საბიუჯეტო წლისა და შემდგომი წლებისათვის შეადგინოს მარტოოდენ მეტრული ზომა-წონის ნიშნებით.

2. ყველა სახალხო კომისარიატმა, როგორც გაერთიანებულმა, ისე რესპუბლიკანურმა, ამა დადგენილების განსავითარებლად უნდა გამოსცეს ინსტრუქცია თავისი უწყებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კ. სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირთა განსაკუთრებულ რწმუნებულთ.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობისა და კერძო პირი პასუხს აგებს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1473 №-ში 1927 წ. მაისის 12-ს.

სავალდებულო დადგენილება № 19 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წლის აპრილის 29.

107. ა/კსფსრ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების კომუნალურ წყალსადენთა წყლის მეტრული წყვით აღნუსხვისა და ტარიფიკაციის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 29 თარიღის დადგენილების მე-11 §-ს „გ" პუნ. თანახმად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. 1927 წ. ივლისის 1-დან ა/კსფსრ ქალაქებისა და დასახელებული ადგილების ყველა კომუნალურ წყალსადენში წყლის აღნუსხვა და ტარიფიკაცია უნდა მოხდეს ხოლმე კუბიკური მეტრითა და კუბიკური მეტრის ათეულობითი წილადობით. იქ, სადაც წყალსადენს აქვს წყლის მრეგისტრავი აპარატი, თვითმრიცხველიდან გადმოღებული წყვის მაჩვენებელი ნიშნები ჩაწერილ უნდა იქნეს ამ ნიშნების პარალელურად კუბიკურ მეტრზე გადატანით; ამასთანავე მეტრული წყვის ჩანაწერი უნდა ითვლებოდეს ოფიციალურ აღნუსხვად და შემდეგში ოპერაციები (ანგარიში, სათვალავი და სხვ.) წარმოებულ უნდა იქნეს მეტრული წყვით.

2. ამა დადგენილების გამოცემისთანავე, რაც წყალსაწყავთა მეტრულ სისტემაზე გადატანას შეეხება, წინადადება ეძლევა ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებას და საწარმოს წყალსაწყავების გამოწერის დროს შეუკვეთონ მარტოოდენ ისეთი წყალსაწყავები, რომლებსაც სარეგისტრო აპარატები მეტრულ საწყავისა აქვნიათ.

ტფილისი ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება ეძლევა დაწესებულებათ და კერძო პირთ წყალსაწყავების კაპიტალურად გადაკეთების დროს სარეგისტრო აპარატები მეტრული სისტემის აპარატებად შეაცვლევინონ.

4. 1928 წ. ოქტომბრის 1-დან შემოღებულ იქნეს მხოლოდ ისეთი წყალსაწყავები, რომლებსაც ციფერბლატი მეტრული სისტემისა ექნება.

5. ამა დადგენილების განხორციელება და მისი შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისრება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებსა და ეკონომიური საბჭოების განსაკუთრებულ რწმუნებულთ.

6. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1474 №-ში 1927 წ. მაისის 13-ს.

დადგენილება № 32 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 30.

105. იმ სასეზონო და დროებით სამუშაოთა ნუსხის შესახებ, რაზედაც ვრცელდება ნაწილობრივი სოციალური დაზღვევა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და 67 №-რის დადგენილება „იმ სასეზონო და დროებით სამუშაოთა 1-ლი №-რის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რაზედაც ვრცელდება ნაწილობრივი სოციალური დაზღვევა" (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 84 №-ში 1927 წ. აპრილის 14-ს).

2. გაუქმებულ იქნეს ყველა ის დადგენილება, ცირკულიარი და ინსტრუქცია, რომლითაც ა/კსფსრ-ში გავრცელებულ იქნა სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და 67 №-რის დადგენილების მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს საკანონმდებლო აქტები.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის მთავარ
სამმართველოს უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1474 №-ში 1927 წ. მაისის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 20 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

109. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. აპრილის 2-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 189) მე-3, 11 და 17 მუხ., მე-17 მუხლის მე-2 შენიშვნისა, 21, 23 24, 26, 27, 28, 34, 44, 45 და 59 მუხლების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სავალდებულოდ იქნეს ყველგან მემინდვრეობისა, მებალახეობისა, ხილის ბაღებისა, ვენახებისა, ბოსტნებისა, ბაღჩებისა, ბრინჯის პლანტაციებისა, კარტოფილისა, თამბაქოს, მანდარინის განაშენებისა, თუთის განაშენებისა, ხელოვნურად ნათესი ბალახისა და ჩაისა, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ცხენისა, აქლემისა, ჯორისა, ვირისა, ცხვრისა, თხისა, ღორისა და მეფუტკრეობის შემოსავლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა.

2. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო (მტკიცე) ნორმები (იხ. ცხრილი 180 გვერდზე).

3. განთავისუფლებულ იქნეს ყველგან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან: ა) მეფრინველეობისა, ბ) ხალიჩების წარმოებისა და გ) შეაბრეშუმეობის შემოსავალი. სხვა დანარჩენი არასამიწათმოქმედო სახის საშოვარი დაბეგრილი იქნეს.

4. დასაბეგრი ღორის წლოვანება განისაზღვროს 8 თვით.

5. ნატურალური დაუბეგრავი მინიმუმი ღორებისათვის არ იქნეს დაწესებული.

6. ღალის საფუძველზე ოჯარით აღებული მიწების დაბეგვრის წესის განსაზღვრა და, აგრეთვე, 10-დან 25%-დე შემცირების დაწესება მიენდოს ა/კ. სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

7. სამუშაო ხელფასიდან დაიბეგროს შრომის საშოვრის მთელი თანხის შემდეგი მტკიცე პროცენტი: ა) 15 პროცენტი იმ სამუშაო ხელფასისა, რასაც მიიღებს თავის სასოფლო მეურნეობაში მუდმივ მცხოვრები მომუშავე და ბ) 10 პროცენტი იმ შრომის საშოვრისა, რასაც მომუშავე მიიღებს სხვა ადგილას მუშაობით.

8. შინამრეწველობისა და ხელსნობის შემოსავლიდან დაიბეგროს 50 პროცენტი.

9. სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრის შემოსავლიდან—70 პროცენტი.

10. იმ რაიონების განსაზღვრა, სადაც მემინდვრეობის შემოსავალი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ნათესის მიხედვით, მიენდოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, იმ პირობით, რომ რაიონების სიები დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. ბამბის შემოსავლიანობის ნორმები განისაზღვროს ყველგან 22 მან. 50 კაპ.

12. ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობის ნორმები ერბოს წარმოების სამრეწველო რაიონებში შეცვლილ არ უნდა იქნეს შემცირების მხრით.

13. დაწესებულ იქნეს აზერბაიჯანისა, სოხეთისა, საქართველოს და აფხაზეთის რესპუბლიკებისათვის 1927-28 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასასტუმრებლად შემდეგი ვადები:

1-ლი ვადა აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსათვის—1927 წ. ნოემბრის 1-ლი—25%.

აფხაზეთისათვის—1928 წ. იანვრის 1-ლი—15%.

მე-2 ვადა აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსათვის—1928 წ. იანვრის 1-ლი—50%.

აფხაზეთისათვის—1928 წ. მარტის 1-ლი—50%.

მე-3 ვადა აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსათვის—1928 წ. თებერვლის 1-ლი—25%.

აფხაზეთისათვის—1928 წ. აპრილის 1-ლი—35%.

14. ყრილობის მიერ საგადასახადო კომისიის წევრებად არჩეული გლეხებისათვის მისაცემი გასამრჯელოს რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

15. დაუბეგრავ მინიმუმს ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებ შორის ვარიაცია არ ექნეს და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებზე გავრცელებულ უნდა იქნეს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. აპრილის 2-ს მიღებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით განსაზღვრული დაუბეგრავი მინიმუმი.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წლის დეკემბრის 10. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1475 №-ში 1927 წ. მაისის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები	დესეტინის შემოსავლიანობა მანეთობით												თითო სული ოთხ. საქონლის შემოსავლიანობა						1 გეჯა ფუტკ. შემოსავლ.	
	სანნავი	ნათესი	სათიბი	ხილის ბაღი	ვენახი	ბოსტანი და ბაღჩა	თამბაქო	ბრინჯი	მანდარინის ბანაშენი	ხელოვ. მუ-ბალახეობა	კარტოფილი	ჩაი	მსხვ. საქონელი, ხარისა და კამეჩის გარდა	ცხენი, აქლემი, ჯორი	ხარი და კამეჩი	ვირი	ცხვარი და თხა	ღორი	ჩარჩოიანი	უჩარჩოო
აზერბაიჯანი . . .	30	45	18	160	200	140	180	145	—	90	140	—	13—25	15	13	5	2—55	5	5	3
სომხეთი	30	45	18	155	200	140	180	195	—	90	140	—	13—25	15	13	5	2—55	5	5	3
საქართველო { აღმოს.	30	45	18	170	200	140	180	140	325	90	140	200	13—25	15	13	5	2—55	5	5	3
{ დასავ.													10—50							
აფხაზეთი	—	—	—	—	—	—	226	—	—	—	—	—	—	—	—	—	1—55	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 30 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 29.

110. სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთათვის ნაწილობრივი დაზღვევის შეფარდების წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოლებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 მარტის 3-ს თარიღისა და 66 №-რის დადგენილება: „სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთათვის ნაწილობრივი დაზღვევის შეფარდების წესის შესახებ“.

2. ამა თუ იმ სამუშაოს თვითეული დარგის სეზონის დაწყებისა და დამთავრების დროის განსაზღვრა, რაც გათვალისწინებულია სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და 66 №-რის დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნით, დაეკისროს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის) შრომის სახალხო კომისარიატებს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევ.
მთავარ სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წლის მარტის 3. № 66.

სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთათვის ნაწილობრივი სოციალური დაზღვევის შეფარდების წესის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ“ 1927 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი და მე-3 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-რი, მუხ. 102) -სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. ნაწილობრივი დაზღვევა გავრცელდება მხოლოდ ისეთ სასეზონო ან დროებით სამუშაობეზე, რაც ჩამოთვლილია სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს აღნიშნული დადგენილების თანახმად, გამოცემულ ნუსხაში.

2. ნაწილობრივი დაზღვევა არ შეიძლება გავრცელდეს ანალოგიით ისეთ სამუშაოზე, რაც მოხსენებული არ არის სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ გამოცემულ ნუსხაში.

3. ნაწილობრივი დაზღვევა შეეფარდება ყველა იმ პირს, ვინც ნუსხაში აღნიშნულ სასეზონო ან დროებით სამუშაოზე მუშაობს, იმის მიუხედავად, თუ რა წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ პირისათვის ეს სასეზონო ან დროებითი სამუშაო—ძირითად სახსარს არსებობისას, თუ არაპირდაპირს.

4. ნაწილობრივი დაზღვევა არ შეეფარდება ისეთ, ნუსხაში აღნიშნულ სამუშაოზე მომუშავე პირს, რომელიც მუშაობდა უწყებულ საწარმოში, დაწესებულებაში თუ მეურნეობაში სეზონის დაწყებამდე, ან დაქირავებულია არა მარტო ამ სასეზონო თუ დროებითი სამუშაოსათვის (ე. ი., უკეთუ იგი მუდმივ შტატში მყოფი მომუშაევა და სხვ.). ასეთი პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყოველგვარი დაზღვევით.

შენიშვნა. ამა მუხლის შეფარდებისათვის სეზონის დაწყებისა და დამთავრების დროს ყველა სამუშაო დარგში განსაზღვრავს შრომის საგუბერნიო განყოფილება (ან მისი თანაბარი ორგანო შრომის სახალხო კომისარიატისა).

5. მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებულ სოციალურ დაზღვევის საბჭოებს უფლება აქვთ აღძრან სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს წინაშე შუამდგომლობა სრული დაზღვევის შეფარდების შესახებ (მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ცალკე ნაწილზე) ნუსხაში აღნიშნულ სამუშაოზე მომუშავე პირთათვის, უკეთუ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მუშაობა სწარმოებს მთელი წლისა ან მომეტებული ხნის განმავლობაში, ან უკეთუ სამუშაოზე უპირატესად ისეთი პირნი მუშაობენ, რომელთათვისაც ეს სამუშაო არსებობის ძირითადი წყაროა.

6. იმ პირებზე, რომელნიც სასეზონო და დროებით სამუშაოზე თავიანთი ცხენებით მუშაობენ, სოციალური დაზღვევა არ გავრცელდება.

სოც. დაზღ. საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა"-ს 1475 №-ში 1927 წ. მაისის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

111. საბავშვო სახლების მოწაფეთა მომზადების შესახებ შრომისა და საერთო სარგებლობის მოღვაწეობისათვის.

საბავშვო სახლების მოწაფეთა მოსამზადებლად შრომისა და საერთო-სარგებლობის მოღვაწეობისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები და ადგილობრივი შრომის განყოფილებანი გაანაწილებენ საბავშვო სახლების შრომის უნარიანობის ასაკს მიღწეულ მოწაფეთ საწარმოო საშუშაოზე ამა დადგანილების შემდგომი მუხლების თანახმად.

2. საბავშვო სახლების მოწაფეთ,—მათი საწარმოო სამუშაოზე მოთავსების დროს მოზარდთა ნორმის ანგარიშში და მოზარდთა ზენორმის წესით, აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლაში, სასოფლო-სამეურნეო შეგირდობის სკოლაში, საკონტორო შეგირდობის სკოლაში და მუშა-მოზარდთა სკოლაში,—აქვთ პირველ რიგში მიღების უფლება მუშათა შვილების თანაბრად.

3. საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში, მოზარდთა ნორმის მიხედვით, გასაგზავნ სბავშვო სახლთა მოწაფეების რიცხვი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკისათვის განისაზღვრება სათანადო შრომის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით განათლების სახალხო კომისარიატთან, ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და რესპუბლიკანური საბავშვო კომისიის წარმომადგენელთან.

შენიშვნა. შეუთანხმებლობის საკითხს გადასწყვეტს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. მოზარდთა ზენორმის წესით გასაგზავნ საბავშვო სახლების მოწაფეთ ინახავს საბავშვო სახლი ან თავისთან ან თავის გარეშე იმ თანხის ანგარიშზე, რაც მათ შესანახად გადაიდება.

5. საბავშვო სახლის მოწაფე საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლაში, სასოფლო-სამეურნეო შეგირდობის სკოლაში, საკონტორო შეგირდობის სკოლაში და მუშა-მოზარდთა სკოლაში მიიღება თოთხმეტი წლიდან, ხოლო საწარმოო სამუშაოზე ინდივიდუალურ და საბრიგადო შეგირდობაში თექვსმეტი წლიდან; ამ ასაკის შემცირება შეიძლება შრომის საერთო კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

6. სახალხო განათლების ორგანოებს უფლება აქვთ მიაბარონ საბავშვო სახლების მოწაფენი სასწავლებლად კოოპერატიულ შენაერთს, აგრეთვე კერძო ხელოსანს და შინამრეწველს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, იმ პირობით კი, რომ შეგირდობის პირველი წლის განმავლობაში მოწაფეს შეინახავს თვით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო განათლების ორგანო თავისი ხარჯით; ერთი წლის შემდეგ, უკეთუ შინაგრეწველი მოწაფეს თავისთან დასტოვებს, მოწაფეს მიეცემა შრომის სასყიდელი საერთო საფუძველზე.

7. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და რესპუბლიკანურ განათლების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 9. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1477 №-ში 1926 წ. მაისის 17-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

112. შვეიცარიის მიმართ ეკონომიური ბოიკოტის მოსპობის შესახებ.

რადგანაც 1927 წ. აპრილის 14-ს ბერლინში სსრკ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში და შვეიცარიის ელჩმა ბერლინში ხელი მოაწერეს ოქმს იმ კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, რაც წარმოიშვა ლოზანის კონფერენციის დროს ამბ. ვოროვსკის მოკვლის გამო, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივნისის 27-ს დადგენილება „შვეიცარიის მოქალაქეთა საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-9 №-რი, მუხ. 132) გაუქმებულ იქნეს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოაქვეყნონ, მათ მიერ გამოცემულ დადგენილებათა შორის რა დადგენილებამ დაჰკარგა ძალა, შვეიცარიის მიმართ ეკონომიური ბოიკოტის მოსპობის გამო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წლის მაისის 9. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1447 №-ში 1927 წ. მაისის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 31 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 30.

113. სანახაობის საწარმოთა მომუშავეების ყოველკვირეული დასვენების დღის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. მარტის 30-ს თარიღისა და 62 №-რის დადგენილება „სანახაობის საწარმოთა მომუშავეების ყოველკვირეული დასვენების დღის შესახებ“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „დღესასწაულთა და დასვენების განსაკუთრებულ დღეთა შესახებ“ 1926 წ. აპრილის 15-ს თარიღითა და მე-11 №-რით გამოცემული (შრომის მომქმ. კანონმდ. 1926 წ., მუხ. 1113) დადგენილების მე-9 მუხლი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატების სათანადო დადგენილებანი, რაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას—სანახაობის საწარმოთა მომუშავეების ყოველკვირეული დასვენების დღის შესახებ.

3. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს გამოსცენ იმ თავიანთ დადგენილებათა ნუსხა, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფ. გამგის მაგიერ **ნასყიდოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ს. იაკუბოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მარტის 30. № 62.

სანახაობის საწარმოთა მომუშავეების ყოველკვირეული დასვენების დღის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. სანახაობის საწარმოთა მომუშავეთათვის ყოველკვირეული დასვენების დღედ არის ის დღე, რაც უწყებულ ადგილს საყოველთაოდ დაწესებულ ყოველკვირეული დასვენების დღეს მოსდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უკეთუ უწყებული ადგილის ეკონომიური და ყოფა-ცხოვრების თავისებური პირობები მოითხოვს სანახაობის საწარმოთა მომუშავეთათვის ყოველკვირეულ დასასვენებლად, 1-ლ მუხლში გათვალისწინებული დღის ნაცვლად, სხვა დღის დაწესებას,— ყოველკვირეული დასვენების დღეს აღნიშნულ მომუშავეთათვის დაიწესებს შრომის ადგილობრივი განყოფილება (ან შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანო) პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებით.

3. სანახაობის საწარმოთა მომუშავეების ცალკეულ ჯგუფთათვის ყოველკვირეული დასვენების დღედ რაიმე სხვა დღის დაწესება, 1-ლ და მე-2 მუხ. დაწესებულის ნაცვლად, არ შეიძლება.

4. ყოველკვირეული დასვენების დღეს სანახაობის საწარმოში მუშაობა, როგორც მუდმივ მომუშავეთა, ისე გარედან მოწვეულთა მონაწილეობით, არ შეიძლება, გარდა შემდეგი შემთხვევისა:

ა) როდესაც უწყებული საწარმოს სადგომში გაიმართება საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებისა და ორგანიზაციის ყრილობა ან კონფერენცია;

ბ) როდესაც გაიმართება უფასო (ე. ი. შესვლა ფასგადაუხდელად) კონცერტი, წარმოდგენა ან მოხსენება რაიმე საზოგადოებრივი კამპანიის განსახორციელებლად;

გ) როდესაც ხელოვნების მომუშავეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია გამართავს სანახაობას თავისი წევრების მონაწილეობით პროფესიონალური კავშირის საქროებათათვის;

დ) მე-5 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში.

5. მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სანახაობის საწარმოში გაწეული მუშაობისათვის მომუშავეს უნდა მიეცეს კომპენსაცია:ან სხვა დღეს დასვენება, ან დამატებითი სასყიდელი მხარეთა შორის შეპირებული რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ იმ ნორმისა, რაც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსის მე-60 მუხ. და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. სექტემბრის 4-ს თარიღისა და 100-523 №-რის დადგენილებით „დასვენების დღისა, დღესასწაულისა და ყოველკვირეული დასვენებისა და დღესასწაულის წინა დღის საშედავათო საათების სასყიდლის შესახებ („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. 34 №-რი).

6. უკეთუ სანახაობის საწარმოთა მომუშავეების დასვენების დღე დღესასწაულში ან დასვენების განსაკუთრებულ დღეს მოდის, სანახაობის საწარმოთა მომუშავეთ შეუძლიანთ იმუშაონ ამ დღეს (განსაკუთრებული ნებართვის გარეშე) კომპენსაციის მიცემით მე-5 მუხ. წესისამებრ.

7. დადგენილება ესე ვრცელდება სანახაობის საწარმოთა იმ მომუშავეებზე, რომელთა მუშაობაც დაკავშირებულია წარმოდგენისა, კინო-სეანსისა, კონცერტისა და სხვა სანახაობის ჩატარებასთან.

შენიშვნა. იმ მომუშავეთა კატეგორიების ზედმიწევნითი ნუსხა, რომლებზედაც ეს დადგენილება არა ვრცელდება, განსაზღვრულ იქნება შინაგანრიგების წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ხელოვნების იმ მომუშავეთათვის, ვინც კლუბისა და სახალხო კვების დაწესებულების ტიპის საწარმოს მუდმივ სამსახურშია (რესტორანი, კაფე, კაბარე და სხვ.), ყოველკვირეული დასვენების დღედ არის ის დღე, რაც უწყებული საწარმოს ძირითად მომუშავეთათვისაა დაწესებული.

კლუბისა და სახალხო კვების დაწესებულების ტიპის საწარმოში, რომელიც კვირის განმავლობაში ყოველდღე მუშაობს, და რომელშიაც მომუშავეთა ცალკეული ჯგუფებისათვის სხვადასხვა გამოსასვლელი დღეებია დაწესებული, ხელოვნების მომუშავეთათვის ყოველკვირეული დასვენების დღე დაწესდება 1-ლი და მე-2 მუხლის თანახმად.

9. კონტროლი და ზედამხედველობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის ინსპექციას.

10. ამა დადგენილების დარღვევისათვის სანახაობის საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ამა თუ იმ სანახაობის გამმართველი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლისა ან ადმინისტრატიული წესით, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის თანახმად.

11. წინადადება ეძლევა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს გამოსცენ იმ თავიანთი დადგენილებების ნუსხა, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების გამო.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

შრ. სახ. კ-ტის შრომის დაცვის განყოფ. გამგის მოადგილე **ზარომსკი.**

შეთანხმებულია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრ. საბჭოს სატარიფო-ეკონომ. განყ-თან **გინზბურგი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1478 №-ში 1927 წ. მაისის 18-ს.

დადგენილება № 1 აკსფსრ შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მაისის 14.

114. ტყავეულობის მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. აპრილის 5-ს თარიღისა და 62 №-რის დადგენილების თანახმად — ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, — თავის, 1926 წ. აგვისტოს 31-ს თარიღისა და 40/96 №-რისა, 1926 წ. დეკემბრის 31-ს თარიღისა და 58/114 №-რისა და ა/წ. მარტის 11-ს თარიღისა და 10/125

№-რის დადგენილებათა გასაუქმებლად და ა/წ. მარტის 19-ს თარიღისა და 11/126 №-რის დადგენილების განსავითარებლად,—ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/ესფსრ ტერიტორიაზე შემდეგი პრეისკურანტი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასებისა 1 ხარისხის ტყავეულობაზე—ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგური, რის ზევითაც სახელმწიფო და კოოპერატიულ ტყავის საწარმოთ (ტრესტი, შენაერთი და სახელმწიფო და კოოპერატიული წარმოებითი ცალკე საწარმო).აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათ, რომელნიც ტყავის საქონელს ამზადებენ,—უფლება არა აქვთ გაჰყიდონ ტყავეულობა—მიუხედავად გარიგების თანხის რაოდენობისა, ცალობითი ვაჭრობის გამოკლებით:

ა) ტყავეულობის ნახევარ-ფაბრიკატი.

(წონადი საქონელი).

საქონლის სახელწოდება	ფასი 1 კილოგრ.	ფასი 1 ფუთ.
1. ლანჩა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, კომბინირული თრიმვლისა 1 ხარისხისა	2 მ. 09 კ.	34 მ. 20 კ.
2. ლანჩა საშუალო 16 კილოგრამამდე (40 გირვანქამდე ერთი მთლიანი ტყავი)	2 მ. 04 კ.	33 მ. 49 კ.
3. ლანჩა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, ფხვრიადი თრიმვლისა	2 მ. 26 კ.	37 მ. 05 კ.
4. საძირე ძროხის ტყავი პრიალა, 1-ლ ხარისხისა 14 კილოგრამამდე (35 გირვანქამდე)	2 მ. 26 კ.	37 მ. — კ.
5. საძირე ძროხის ტყავი საფენი, 1-ლ ხარისხისა, 9 კილოგრამამდე (22 გირვან.) ერთ მზა ტყავი	2 მ. 38 კ.	39 მ. — კ.
6. საპირე ძროხის ტყავი გაუთლელი და გათლილი გავა-ნაწილში, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარისხისა, 6 კილოგრამამდე	2 მ. 64 კ.	43 მ. 12 კ.
7. საპირე ძროხის ტყავი გაუთლელი და გათლილი გავა ნაწილში, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარისხისა, 6-დან 8 კილოგრამამდე	2 მ. 58 კ.	42 მ. 24 კ.
8. საპირე ძროხის ტყავი გათლილი, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარისხისა, 6 კილოგრამამდე . .	2 მ. 81 კ.	46 მ. 14 კ.
9. საპირე ძროხის ტყავი, გათლილი, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარ., 6-დან 8 კილოგრამ. .	2 მ. 76 კ.	45 მ. 20 კ.
10. საპირე ძროხის ტყავი, განახერხი, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარ., 6 კილოგრამამდე . .	3 მ. — კ.	49 მ. 16 კ.
11. საპირე ძროხის ტყავი, განახერხი, კომბინირული თრიმვლისა, 1-ლ ხარ., 6-დან 8 კილოგრამ. .	2 მ. 94 კ.	48 მ. 15 კ.
12. საპირე ძროხის ტყავი, გაუთლელი და გათლილი გავა-ნაწილში, ფხვრიადი თრიმვლისა, 1-ლ ხარ., 6 კილოგრამამდე	2 მ. 93 კ.	48 მ. 02 კ.

13. საპირე ძროხის ტყავი, გაუთლელი და გათლილი გავა-ნაწილში, ფხვრიადი თრიმვლისა 1-ლ ხარ., 6-დან 8 კილოგრამამდე . . . . . 2 მ. 87 კ. 47 მ. 04 კ.
14. საპირე ძროხის ტყავი, გათლილი, 1-ლ ხარისხისა, ფხვრიადი თრიმვლისა, 6 კილოგრამამდე . . . . 3 მ. 14 კ. 51 მ. 38 კ.
15. საპირე ძროხის ტყავი, გათლილი, 1-ლ ხარისხისა, ფხვრიადი თრიმვლისა, 6-დან 8 კილოგრამამდე . 3 მ. 07 კ. 50 მ. 33 კ.
16. საპირე ძროხის ტყავი, განახერხი, ფხვრიადი თრიმვლისა, 1-ლ ხარისხისა, 6 კილოგრამამდე . . 3 მ. 34 კ. 54 მ. 74 კ.
17. საპირე ძროხის ტყავი, განახერხი, 1-ლ ხარისხისა, ფხვრიადი თრიმვლისა, 6-დან 8 კილოგრამამდე . 3 მ. 27 კ. 53 მ. 63 კ.
18. საპირე ცხენის ტყავი, განახერხი, 1-ლ ხარისხისა, ფხვრიადი თრიმვლისა, 6 კილოგრამამდე . . . . 2 მ. 58 კ. 42 მ. 14 კ.
19. საპირე ცხენის ტყავი, განახერხი, 1-ლ ხარისხისა, ფხვრიადი თრიმვლისა, 6-დან 8 კილოგრამამდე . 2 მ. 52 კ. 41 მ. 28 კ.
20. იუხტი გამოქნილი, შავი, 1-ლ ხარისხისა . . . . 3 მ. 35 კ. 55 მ. — კ.
21. იუხტი ფერადი, სასანდალე, 12 გირვანქამდე (4,9 კილოგრამამდე) . . . . . 4 მ. 15 კ. 68 მ. — კ.
22. იუხტი ფერადი, სასანდალე, 12 გირვანქაზე მეტი (4,9 კილოგრამზე მეტი) . . . . . 3 მ. 85 კ. 63 მ. — კ.
23. ბოჩოლას და მოზვრის ტყავი, მცენარეობითი თრიმვლისა, გაუთლელი, 1-ლ ხარისხისა . . . . 2 მ. 87 კ. 47 მ. — კ.
24. ბოჩოლას და მოზვრის ტყავი, მცენარეობითი თრიმვლისა, გათლილი, 1-ლ ხარისხისა . . . . . 3 მ. 09 კ. 50 მ. 60 კ.
25. ბოჩოლას და მოზვრის ტყავი, მცენარეობითი თრიმვლისა, შავი, 1-ლ ხარისხისა . . . . . 3 მ. 66 კ. 60 მ. — კ.
26. ბოჩოლას და მოზვრის ტყავი, მცენარეობითი თრიმვლისა, ფერადი, 1-ლ ხარისხისა . . . . . 4 მ. 27 კ. 70 მ. — კ.
27. ცხვრისა და თხის ტყავი, მცენარეობითი თრიმვლისა, ფერადი, 1-ლ ხარისხისა . . . . . 4 მ. 88 კ. 80 მ. — კ.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1 მუხ. „ა“ ლიტერით გათვალისწინებული 1 ხარისხის ტყავის ფასებზე დაწესებულ იქნეს შემდეგი მონაკლები:

ლანჩა ყოველგვარი მე-2 ხარისხისა 10%
„ „ მე-3 ხარისხისა . . . . . 20 „
საძირე ძროხის ტყავი, მძიმე, მე-2 ხარისხისა . . . . . 10 „
საძირე ძროხის ტყავი, საფენი, მე-3 ხარისხისა . . . . . 20 „
საძირე ძროხის ტყავი, მძიმე, წუნდადებული . . . . . 30 „
საძირე ძროხის ტყავი, საფენი, მე-2 ხარისხისა . . . . . 10 „
საძირე ძროხის ტყავი, საფენი მე-3 ხარისხისა . . . . . 20 „
საძირე ძროხის ტყავი, საფენი, წუნდადებული . . . . . 30 „
საპირე ძროხის ტყავი და იუხტი, მე-2 ხარისხისა . . . . . 10 „
საპირე ძროხის ტყავი და იუხტი, მე-3 ხარისხისა . . . . . 20 „
საპირე ძროხის ტყავი და იუხტი, წუნდადებული . . . . . 30 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ფუტობითი საქონელი.

	ფასი 1 კვადრატ. ფუტისა
28. საპირე ხბოს ტყავი, ხრომისა, შავი, 1 ხარისხისა	1 მ. — კაპ.
29. საპირე ხბოს ტყავი, ხრომისა, ფერადი, 1 ხარისხისა	1 „ 45 „
30. ბოჩოლას ტყავი, ხრომისა, შავი, 1 ხარისხისა	მ. 70 კაპ.
31. ბოჩოლას ტყავი, ხრომისა, ფერადი, 1 ხარისხისა	1 „ 02 „
32. ვაცის ტყავი, ხრომისა, შავი, 1 ხარისხისა	85 „
33. შევრეტი, შავი, ფეხსაცმლისა, 1 ხარისხისა	85 „
34. შევრეტი, შავი, (საკურტკე) 1 ხარისხის	75 „
35. შევრეტი. ფერადი, ფეხსაცმლის, 1 ხარისხისა	1 „ 25 „
36. შევრო, შავი, 1 ხარისხისა	1 „ 40 „
37. შევრო, ფერადი, 1 ხარისხისა	1 „ 40 „

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხ. „ბ“ ლიტერით გათვალისწინებული 1 ხარისხის ტყავის ფასებზე დაწესებულ იქნეს შემდეგი მონაკლები:

საპირე ხბოს ტყავი, ხრომისა, მე-2 ხარისხისა	10%
„ „ „ ხრომისა, მე-3 ხარისხისა	25 „
„ „ „ ხრომისა წუნდადებული	40 „
ბოჩოლას ტყავი, ხრომისა, მე-2 ხარისხისა	10 „
ბოჩოლას ტყავი, ხრომისა, მე-3 ხარისხისა	25 „
ბოჩოლას ტყავი, ხრომისა, წუნდადებული	40 „

გ) გამოჭრილი საქონელი.

(ძროხის ტყავის გამონაჭერი 1 ხარისხისა).

				ფასი 1 წყვილისა
1. ერთიანი საჩექმე ტყავი ძროხისა, —უდიდესი ზომისა	75 სანტ.	73 სანტ.-მდე		9 მან. 46 კ.
2. „ „ „ „ „ „	72 „	68 „		8 „ 72 „
3. „ „ „ „ „ „	67 „	63 „		7 „ 94 „
4. „ „ „ „ „ „	62 „	58 „		7 „ 25 „
5. „ „ „ „ „ „	57 „	54 „		6 „ 57 „
6. „ „ „ „ „ „	53 „	50 „		5 „ 88 „
7. „ „ „ „ „ „	49 „	48 „		5 „ 59 „
8. „ „ „ „ „ „	47 „	45 (ამიანად)		5 „ 24 „
9. „ „ „ „ „ „ ზომა მიუღწ.	—	„		3 „ 92 „
10. „ „ „ „ „ „ ბავშვისა	—	„		2 „ 94 „
11. ყელის ტყავი ძროხისა, უდიდესი ზომისა. 30 სანტიმეტ. (6,86 კაპ. 1 სანტიმეტრი)				3 „ 43 „
12. პირისტყავი ძროხისა, დიდრონი				2 „ 16 „
13. „ „ საშუალო				1 „ 72 „
14. „ „ ზომამიუღწეველი				1 „ 47 „
15. „ „ ბავშვისა				98 „
16. ფეხსაცმლის პირის ტყავი ძროხისა, დიდრონი				1 „ 81 „

17. ფეხსაცმლის პირისტყავი ძროხისა, საშუალო . . . . . 1 მ. 42 კ.
18. „ „ „ ზომამიუღწეველი . . . . 1 „ 23 „
19. ფეხსაცმლის ნახევარპირი ძროხისა, დიდრონი . . . . . 1 „ 47 „
20. „ „ „ საშუალო . . . . . 1 „ 27 „
21. „ „ „ ზომამიუღწეველი . . . . 1 „ 08 „
22. შტიბლეტები ძროხის ტყავისა, ქალისა, დიდრონი . . . . . 2 „ 16 „
23. „ „ „ ზომამიუღწეველი . . . . 1 „ 76 „
24. საწვივე ძროხის ტყავი . . . . . 1 „ 27 „
25. ფეხსაცმლის შუალა-პირი, ძროხის ტყავისა . . . . . 1 „ 08 „

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ ლიტერით გათვალისწინებული 1 ხარისხის ტყავის ფასებზე დაწესებულ იქნეს შემდეგი მონაკლები საფეხსაცმლო ძროხის ტყავის მთელ გამონაჭერზე:

მე-2 ხარისხისათვის 7%
მე-3 „ 20%
მე-4 „ 35%
წუნდადებული საქონლისათვის 50%

(ცხენის ტყავის გამონაჭერი 1 ხარისხისა).

1. შაგრენის ყელი, 50 სანტიმეტ. (7,54 კაპ. 1 სანტ.) . . . . . 3 მ. 77 კ.
2. პლატისა და ნახევარპლატის ყელი—50 სანტ. (8,32 კ. 1 სანტ.) . 4 „ 17 „
3. ჰამბურგული პირი, დიდრონი . . . . . 2 „ 25 „
4. „ „ საშუალო . . . . . 1 „ 86 „
5. „ „ ზომამიუღწეველი . . . . . 1 „ 67 „
6. პლატის პირი, დიდრონი . . . . . 1 „ 96 „
7. „ „ საშუალო . . . . . 1 „ 47 „
8. „ „ ზომამიუღწეველი . . . . . 1 „ 32 „
9. ჰამბურგული ნახევარ-პირი, დიდრონი . . . . . 1 „ 72 „
10. „ „ საშუალო . . . . . 1 „ 47 „
11. „ „ ზომამიუღწეველი . . . . . 1 „ 23 „
12. პლატის ნახევარ-პირი, დიდრონი . . . . . 1 „ 42 „
13. „ „ საშუალო . . . . . 1 „ 27 „
14. „ „ ზომამიუღწეველი . . . . . 1 „ 03 „
15. შტიბლეტები გავა-ნაწილის ტყავისა, დიდრონი . . . . . 2 „ 45 „
16. „ „ „ ზომამიუღწეველი . . . . 2 „ 16 „
17. ჰამბურგული შუალა-პირი, დიდრონი . . . . . 59 „
18. „ „ საშუალო . . . . . 44 „

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ლიტერით გათვალისწინებული 1 ხარისხის ტყავის ფასებზე დაწესებულ იქნეს შემდეგი მონაკლები საფეხსაცმლო ცხენის ტყავის მთელ გამონაჭერზე:

მე-2 ხარისხისათვის 7%
მე-3 „ 20%
მე-4 „ 35%
4. წუნდადებული საქონლისათვის 50%

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ზურგის ნაწილი, კისრის ნაწილი და ნაპირები.

	ფასი 1 კილოგრ.	ფასი 1 ფუთ.
1. ზურგის ნაწილი 1 ხარისხისა, სალანჩე, საძირე (კომბინირული და ფხვრიადი თრიმლვისა) .	2 მ. 73 კ.	44 მ. 65 კ.
2. კისრის ნაწილი სალანჩე, კომბინირული და ფხვრიადი თრიმლვისა და აგრეთვე ტეხნიკური ტყავების კისრის ნაწილი (ტეხნიკური ზურგის ნაწილი, საძირავი ღვედები და სხვა ტეხნიკური ნაკეთობა)	1 „ 45 „	23 „ 75 „
3. კისრის ნაწილი საძირე	1 „ 57 „	25 „ 72 „
4. ნაპირები სალანჩე, კომბინირული და ფხვრიადი თრიმლვისა და აგრეთვე ტეხნიკური ტყავების ნაპირები (ტეხნიკური ზურგის ნაწილი, საძირავი ღვედები და სხვა ტეხნიკური ნაკეთობა) . . .	1 „ 25 „	20 „ 52 „
5. ნაპირები საძირე	1 „ 35 „	22 „ 11 „

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „დ“ ლიტერით გათვალისწინებული 1 ხარისხის ტყავის ფასებზე დაწესებული იქნეს შემდეგი მონაკლები ზურგის ნაწილის სალანჩე და საძირე ტყავზე—კომბინირული და ფხვრიადი თრიმლვისა:

მე-2 ხარისხისათვის 10%
მე-3 „ 20%

II. ყოველგვარი ტყავეული საქონლის თვითეულ ტყავზე აღნიშნულ უნდა იქნეს სახელწოდება ტრესტისა, ქარხნისა, სახელწოდება საქონლისა, მისი ხარისხი და ნიშანი (მსუბუქი, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და სხვ.).

თრიმლვის წესებიდან აღნიშნული უნდა იქნეს მხოლოდ „ფხვრიადი“.

III. ტყავეული საქონლის ბითუმად ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ზედნართი ამა დადგენილების 1-ლ §-ით გათვალისწინებულ ფასებზე:

ა) სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატისათვის, როდესაც იგი, ტყავეული საქონლის სატრანზიტო ოპერაციების წესით, მიჰყიდის სახელმწიფო და კოოპერატიული გამოჭრა-გამოყვანის საწარმოს და ფეხსაცმლების ფაბრიკას (როგორც სინდიკატებში გაერთიანებულ, ისე გაუერთიანებელ ფაბრიკებს)—1%.

საკავშირო ტყავსინდიკატისა და მისი განყოფილებების (კონტორების და სხვ.) საწყობებიდან გაცემის დროს—4,25%.

ტყავეული საქონლის ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა) სატრანზიტო ოპერაციების წესით გაცემის დროს—1,5%.

საკავშირო ტყავსინდიკატისა და მისი განყოფილებების (კონტორებისა და სხვ.) საწყობებიდან მიყიდვის დროს—3,5%.

ტყავეული საქონლის სხვა დანარჩენი ორგანიზაციებისათვის სატრანზიტო ოპერაციების წესით მიყიდვის დროს—2,25%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ტყავსინდიკატისა და მისი განყოფილებების (კონტორებისა და სხვ.) საწყობებიდან გაცემის დროს—3,5%.

ბ) მოკავშირე, რესპუბლიკანური და სოლქო სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციებისათვის—მათ მიერ ტყავეული საქონლის თავისი პერიფერიისათვის მიყიდვის დროს ქარხნებიდან როგორც სატრანზიტო წესით საკუთარი განრიგების მიხედვით და საკავშირო ტყავსინდიკატის მეშვეობით, ისე საქონლის მიყიდვის დროს სატრანზიტო წესით საკავშირო ტყავსინდიკატისა და მისი განყოფილებების (კონტორებისა და სხვ.) საწყობებიდან საქონლის მიმღების სახელზე—0,75%.

ზემოდასახელებული ორგანიზაციების მიერ (§ 3, ლიტ. „ბ") უშუალოდ საწყობებიდან, ტრესტებიდან და ქარხნებიდან შესყიდული ტყავეული საქონლის გაყიდვის დროს—აგრეთვე—0,75%.

გ) სასაწყობო ოპერაციების რიცხვის შემცირების მიზნით აეკრძალოს ამა დადგენილების მე-III §-ს „ბ" ლიტერაში აღნიშნულ ორგანიზაციებს ტყავეული საქონლის სასაწყობო ოპერაციების წარმოება.

დ) სასარწყო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისათვის—მათ მიერ ტყავეული საქონლის თავიანთი პერიფერიისათვის ქარხნებიდან გაცემისას როგორც სატრანზიტო წესით საკუთარი განრიგების მიხედვით და საკავშირო ტყავსინდიკატის მეშვეობით, ისე საქონლის გაცემისას სატრანზიტო წესით საკავშირო ტყავსინდიკატისა და მისი განყოფილებების (კონტორები და სხვ.) საწყობებიდან საქონლის მიმღების სახელზე—1%.

საკუთარი საწყობებიდან გაცემისას—2,75%.

ამა მუხლში აღნიშნული ორგანიზაციების მიერ უშუალოდ ტრესტებიდან და საწყობებიდან შესყიდული ტყავეული საქონლის თავიანთი პერიფერიისათვის უშუალოდ ტრესტისა ან ქარხნის საწყობებიდან სატრანზიტო წესით გაცემისას—1%.

საკუთარი საწყობებიდან გაცემისას—2,75%.

ე) ამა დადგენილების მე-III §-ს „ა", „ბ" და „დ" ლიტერებში აღნიშნული ორგანიზაციები დაარიცხავენ სათანადო მუხლებით გათვალისწინებულ წანამატს, გარდა ფრანტისა, ყოველგვარი სხვა ხარჯების გადატანის გარეშე თავის კონტრაგენტებს ან მყიდველებს. გარიგებათა საბირჟო, საღერბო და სხვა გამოსაღები შეიძლება გადატანილ იქნეს კონტრაგენტებსა ან მყიდველებზე არა უმეტეს, ვიდრე 50%-ს რაოდენობით, ამასთანავე „ბ" და „დ" ლიტერებში მოხსენებულ კოოპერატიულ შენაერთებს უფლება არა აქვთ გადაახდევინონ თავიანთ მონაწილეთ რაიმე ანარიცხი გენერალური ხელშეკრულების დადების დროს.

IV. ტყავეული საქონლის წვრილ-ბითუმად ვაჭრობისათვის დაწესებული იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წარამატი ამა დადგენილების 1-ლი §-ით გათვალისწინებულ ფასებზე:

ა) სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე გაცემისას—7%.

ბ) კერძო პირებზე გაცემისას—9%.

V. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ და აგრეთვე კერძო პირების მიერ ტყავეული საქონლის ცალობით ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი ამა დადგენილების 1-ლ §-ით გათვალისწინებულ ფასებზე:

	სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის.	კერძო პირთათვის.
ა) ქალაქად	18%	24%
ბ) სოფლად	19%	25%

VI. დაწესებულ იქნეს შემდეგი გრადაცია ტყავეული საქონლის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით ვაჭრობისათვის:

სახელწოდება	ბითუმად ვაჭრობა	ნახევარ-ბითუმად	ცალობით ვაჭრობა.
1. ლანჩა, საძირე და საპირე ტყავი . .	1 ფაბრიკ. შეკვრაზე ზევით	1 ფაბრიკ. შეკვრამდე	არა უმეტეს 1 მთლიანი ტყავისა.
2. ფუტობითი საქონელი (წვრილი ტყავი)	1 თორმეტეულზე ზევით	1 თორმეტეულამდე	არა უმეტეს 3 ტყავისა
3. გამოჭრილი საქონელი	10 წყვილზე ან კომპლექტზე ზევით.	10 წყვ.-მდე ან კომფლექტამდე.	არა უმეტეს 3 წყვილისა ან კონფლექტისა.

VII. რკინისგზისა და სანაოსნო ფრახტი, აგრეთვე ჭაპანზიდვის ხარჯები ტყავეული საქონლის გაყიდვის ადგილამდე გადაზიდვისათვის (გარდა შინა-საქალაქო გადაზიდვის ხარჯებისა) უნდა დაერიცხოს საქონლის საბოლოო საგასაცემო ფასს ცალკე, საამისო ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ საკუთარი საწყობებიდან სხვადასხვა ტრესტების ერთი და იგივე სახის ტყავეული საქონლის გაყიდვის დროს, სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ დაერიცხონ საშუალო-წონითი წანამატი თვითეული სახის ტყავის საქონელზე ცალკე— ფრახტის ფაქტიური ღირებულების ჩათვლით და სხვადასხვა ტრესტების იმ აღნიშნული სახის საქონლის რაოდენობის მიხედვით,, რაც საკუთარი საწყობიდან გაიყიდება.

VIII. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში—დაწესონ ამა დადგენილების მე-VII მუხ. გათვალისწინებული ზედნართები ტყავეულობის ფრახტისა და ჭაპანზიდვის გზით მიზიდვის ხარჯის დასაფარავად ნამდვილი ღირებულების საფუძველზე; ამასთანავე აღნიშნული ნორმები გადასინჯულ უნდა იქნეს ხოლმე წელიწადში ორჯერ მაინც.

IX. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში—დაწესონ გამოჭრილ ლანჩაზე და საძირეზე (ცალი, წყვილი) ცალობითი ფასი, რისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს გამოჭრის მუშაობის ღირებულება და ნაკუწების ღირებულება.

X. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკაში თვალყურს ადევნებს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

XI. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

XII. ამა დადგენილების ის ნაწილი რაც ეხება:

ა) ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ „ნახევარ ფაბრიკატებს"—ლიტერი „ა", „ფუტბოლითი საქონელს"—ლიტერი „ბ", 1 ხარისხის გამოჭრილ საქონელს—ლიტერი „გ"—ძალაში შედის ა/წ. მარტის 1-დან და ვრცელდება მის გამოქვეყნებამდე დადებული გარიგების იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ ყოფილა 1927 წ. მარტის 1-მდე;

ბ) ამა დადგენილების 1-ლი მუხ. აღნიშნულ კომბინირული თრიმლვის „სალანჩე ზურგის ნაწილის, კისრის ნაწილის ტყავს და ნაპირებს"—ლიტერი „დ"—ძალაში შედის ა/წ. მარტის 1-დან და ვრცელდება მის გამოქვეყნებამდე დადებული გარიგების იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ ყოფილა ა/წ. მარტის 1-მდე;

გ) ამა დადგენილების 1-ლი მუხ. აღნიშნულ ფხვრიადი თრიმლვის „სალანჩე ზურგის ნაწილსა, კისრის ნაწილის ტყავსა და ნაპირებს"—ლიტერი „დ"—ძალაში შედის ა/წ. აპრილის 20-დან და ვრცელდება მის გამოქვეყნებამდე დადებული გარიგების იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ ყოფილა ა/წ. აპრილის 20-მდე;

დ) დანარჩენი ნაწილები ამა დადგენილებისა ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქონლის მრეწვ. და გაყიდ. სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1480 №-ში 1927 წ. მაისის 20-ს.

დადგენილება № 21 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

115. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერ-კავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრში სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მაისის 5. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულეგა აკსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის შესახებ.

1. სასაცივრო საქმის სფეროში სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის მოქმედების გასაერთიანებლად და შესათანხმებლად მათ მიერ, ა/კსფსრ-ში სასტაციონარო და სატრანსპორტო სასაცივრო მეურნეობის გამოყენებისათვის, აგრეთვე სასაცივრო საქმის მშენებლობის შესახები საგეგმო საკითხების განსახილველად და შესათანხმებლად და ა/კსფსრ სასაცივრო საქმის თანდათანი განვითარების მიზნით—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსდება სასაცივრო საქმის კომიტეტი.

2. სასაცივრო საქმის კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ა/კსფსრ სასაცივრო მეურნეობის აღნუსხვა;

ბ) ა/კსფსრ-ში სასაცივრო საქმის განვითარების საპერსპექტივო გეგმებისა და პროგრამების განხილვა და წინასწარი შეთანხმება;

გ) სსრკ სასაცივრო საწარმოთა (როგორც სასტაციონარო, ისე სატრანსპორტო) წლიური საექსპლოატაციო და სამშენებლო გეგმებისა და საწარმოო პროგრამების განხილვა და წინასწარი შეთანხმება;

დ) კავშირის მეურნეობის გამოყენების საერთო პირობების განხილვა, მალფუჭებადი პროდუქტების გადაზიდვის ტარიფების წინასწარი განხილვა, რათა ეს ტარიფები შემდგომ გატარებულ იქნეს სსრკ გზათა კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) არსებულ სატარიფო თათბირში, საერთო სარგებლობის სასაცივრო საწყობების ნიხრის განხილვა და სხვ.;

ე) სპეციალურ საცავთა ტიპების სტანდარტიზაციისა და მათში მალფუჭებადი პროდუქტების სასაცივრო შენახვის ტეხნიკის საკითხების შემუშავება;

ვ) ა/კსფსრ სასაცივრო საქმის მშენებლობის ტეხნიკური ნორმების განხილვა;

ზ) ცალკე უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმდინარე (პერიოდული) და საანგარიშო მოხსენების განხილვა ა/კსფსრ სასაცივრო მეურნეობის ექსპლოატაციისა და სასაცივრო საქმის მშენებლობის შესახებ;

თ) სასაცივრო საქმის საკითხების გამო დადგენილებათა, განკარგულებათა და დეკრეტთა პროექტების შემუშავება, როგორც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებისა და ორგანიზაციის მინდობილობით, ისე საკუთარი ინიციატივით;

ი) სასაცივრო საქმისათვის პერიოდული ყრილობებისა და თათბირების მოწვევისა და სასაცივრო საქმის გამოყენებას თან დაკავშირებული საკითხების გამო გამართულ საკავშირო და საერთაშორისო ყრილობებში მონაწილეობის საკითხების განხილვა, აგრეთვე საერთაშორისო სასაცივრო საქმის შენაერთებში მონაწილეობის მიღება.

3. ესა თუ ის უწყება და ორგანიზაცია თავის განზრახულებას წინა (2) მუხლით გათვალისწინებული საკითხების გამო განახორციელებს ამა დებულებით განსაზღვრულ წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტში შედიან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი: ორი წარმომადგენელი ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირებისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო-კომისარიატისა, სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), სსრკ სახელმწიფო ბანკისა, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ერთი წარმომადგენელი სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირისა.

შენიშვნა. სასაცივრო საქმის კომიტეტს უფლება აქვს მიიწვიოს თათის სხდომაზე, სათათბირო ხმის უფლებით, დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელი და აგრეთვე მცოდნე პირნი.

5. სასაცივრო საქმის კომიტეტის წევრს და მის მოადგილეს დანიშნავს საერთანადო უწყება და ორგანიზაცია.

კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო კომიტეტის წევრთაგან, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის წარდგენით.

6. კომიტეტის მიმდინარე მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის შედგენილობაშიაც შედიან:

კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომიტეტის ერთი წევრი; ამ უკანასკნელს დაამტკიცებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, კომიტეტის წარდგენით.

7. კომიტეტის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო კომიტეტის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, მათ შორის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

8. კომიტეტის დადგენილება მიიღება ხმათა უმეტესობით. ხმათა თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმა გადასძლევს.

მას, ვინც თანახმა არ იქნება უმეტესობის დადგენილებისა, შეუძლიან შეიტანოს, არა უგვიანეს 5-ს დღისა, განსაკუთრებული დასაბუთებული აზრი, რაც კომიტეტის სხდომის ოქმს დაერთვის.

9. სასაცივრო საქმის კომიტეტის განზრახულებას და დადგენილებას კომიტეტის თავმჯდომარე წარუდგენს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს, ყველა მასალითა და განსაკუთრებული აზრით, უკეთუ იგი განცხადებულ იქნა.

იმ საკითხს, რაც საჭიროებს საკანონმდებლო წესით დამტკიცებას, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი, არსებული წესისამებრ, წარუდგენს სათანადო საკანონმდებლო ორგანოს, ხოლო ის ღონისძიება, რაც უმაღლესი ორგანოს დამტკიცებას არა საჭიროებს, განხორციელებულ იქნება მას შემდეგ, რაც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი დაამტკიცებს.

იმ უწყებასა და ორგანიზაციას, რომელიც ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებას არ ეთანხმება, შეუძლიან პროტესტი გადაიტანოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, და, ამასთან ერთად, იგი პროტესტის ასლს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წარუდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი თანახმა არ არის კომიტეტის დადგენილებისა, მას შეუძლიან ან გადასცეს საქმე კომიტეტს ხელახალი განხილვისათვის, ან, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, შეიტანოს თავისი პროტესტი ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში განსახილველად.

განაპროტესტებული დადგენილება არ უნდა იქნეს შესრულებული, ვიდრე იგი ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში არ განიხილება.

10. კომიტეტის სხდომა მოიწყვება პრეზიდიუმისა ან თავმჯდომარის მიერ საჭიროებისადა მიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

11. სასაცივრო საქმის კომიტეტის საქმისწარმოებას უძღვება კომიტეტის სეკრეტარიატი თავმჯდომარისა ან მისი მოადგილის ხელმძღვანელობით.

12. სასაცივრო საქმის კომიტეტისა და მისი აპარატის შესანახი ხარჯები აღირიცხვება და გატარებულ იქნება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

13. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებთან (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) შეიძლება მოეწყოს სასაცივრო საქმის კომიტეტები, რომლებიც მოეწყობიან და მოქმედობენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამერიკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის ხელმძღვანელობით და განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელ დებულებასაც დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ამერიკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1481 №-ში 1927 წ. მაისის 21-ს.

დადგენილება № 22 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

116. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1927-28 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა, მსვლელობისა და დამტკიცების წესისა და ვადების შესახებ.

რათა ყოველმხრივ გაშუქებულ იქნეს სახალხო-სამეურნეო პროცესები და გაჩორკვეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გზები 1927-28 წლისათვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენა 1927-28 წლისათვის.

2. საკონტროლო ციფრების მოცულობას, მათი შედგენის ხერხსა და მათ პროგრამმას განსაზღვრავს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოთხოვნათა მიხედვით.

3. საკონტროლო ციფრების შედგენისათვის წარმოებულ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ა/კსფსრ შედგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა, ა/კსფსრ-სა და მის შემდგენლობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებმა და სამეურნეო დაწესებულებებმა.

4. ყველა დასახელებული ორგანო და დაწესებულება მოვალეა წარადგინოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების მოთხოვნისამებრ, აღნიშნული კომისიების მიერ დანიშნულ ვადაზე, საანგარიშო და სტატისტიკური მასალა, რაც საჭირო იქნება 1927-28 წლისათვის საკონტროლო ციფრების შესადგენად.

5. საკონტროლო ციფრების წარსადგენად განისაზღვრება შემდეგი ვადები (მრეწველების გარდა):

ა) 1927 წ. ივლისის 1-თვის—რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატები, უწყებანი და სამეურნეო ორგანიზაციები წარუდგენენ საკონტროლო ციფრებს სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას და, ამასთან ერთად, ამ საკონტროლო ციფრების ასლს წარუდგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატსა ან ორგანიზაციას, უკეთუ ასეთი კომისარიატი და ორგანიზაცია არსებობს;

ბ) 1927 წ. ივლისის 5-თვის—ამიერკავკასიის ორგანიზაციები 1927-28 წლის საკონტროლო ციფრებს წარუდგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

გ) 1927 წ. ივლისის 10-თვის—რესპუბლიკანური საგეგმო კომისიები წარუდგენენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს და, ამასთან ერთად, სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირებს დასამტკიცებლად—საკონტროლო ციფრების საბოლოო რედაქციას;

დ) 1927 წ. ივლისის 13-თვის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებს;

ე) 1927 წ. ივლისის 23 ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებს და, ამასთან ერთად, გაუგზავნის ამავე ციფრებს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ვ) ამავე ვადისთვის (1927 წ. ივლისის 23-ს) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები წარუდგენენ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად თავიანთ დადგენილებებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

6. მრეწველობის საკონტროლო ციფრების მსვლელობის ვადა და წესი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) 1927 წ. ივნისის 15-თვის—რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები გადასცემენ 1927-28 წ. თავიანთ განზრახულებათ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს და, ამასთან ერთად, ამ განზრახულებათა ასლებს გაუგზავნინან ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სხვა რესპუბლიკანური ორგანოები, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში ჰყავთ ცენზიანი სამრეწველო საწარმონი, იმავე ვადაზე წარუდგენენ თავიანთ 1927-28 წლის განზრახულებათ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს და, ამასთან ერთად, ამ განზრახულებათა ასლებს წარუდგენენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს, აგრეთვე ამერიკავკასიის სათანადო სახალხო კომისარიატს ან ორგანიზაციას, უკეთუ ასეთი კომისარიატი ან ორგანიზაცია არსებობს.

ბ) 1927 წ. ივნისის 20-თვის—ამერიკავკასიის ფედერალური ორგანოები, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში ჰყავთ სამრეწველო ცენზიანი დაწესებულებანი, წარუდგენენ თავიანთ განზრახულებათ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს;

გ) 1927 წ. ივნისის 25-თვის—რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიები წარუდგენენ მრეწველობის ჯუმლობითი საკონტროლო ციფრებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს და, ამასთან ერთად,—სათანადო ეკონომიურ თათბირს დასამტკიცებლად;

დ) 1927 წ. ივლისის 5-თვის—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს მრეწველობის საკონტროლო ციფრებს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს—დასამტკიცებლად—და, ამასთან ერთად, ამ ციფრების ასლს გაუგზავნის სხვ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ე) ამავე რიცხვისთვის (1927 წ. ივლისის 5-ს) რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირები წარუდგენენ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავიანთ დადგენილებებს მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

7. საერთო-საკავშირო უწყება და ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ის ორგანიზაცია, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედობს, მოვალეა წარუდგინოს ანგარიში და საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო მასალა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს. კომისიების მიერ დადგენილ ვადაზე, აგრეთვე წარუდგინოს მათ 1927-28 წლის განზრახულებათა ასლები თავის გამგეობისათვის ამ განზრახულებათა წარდგენასთან ერთად.

8. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები ამა დადგენილების განსაცითარებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
— საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მაისის 21. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1482 №-ში 1927 წ. მაისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

117. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალიური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შეახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის იანვრის 21-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 579) შესაცვლელად—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

ერთი წარმომადგენელი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ერთი წარმომადგენელი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომარიატისა, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, ერთი წარმომადგენელი სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), სამი წარმომადგენელი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და ერთი წარმომადგენელი აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა.

შენიშვნა 1. რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ ერთ-ერთი მათგანის წარმომადგენლის სახით, როგორც კველა მათი საერთო წარმომადგენლისა; ამ საერთო წარმომადგენლის მონაწილეობის წესსა და მორიგეობას განსაზღვრავენ თვით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები.

შენიშვნა 2. იმ ხნის განმავლობაში, რაც სამ რესპუბლიკანურ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთა შორის ერთი მათგანის წარმომადგენელი იქნება საბჭოში, დანარჩენი ორი წარმომადგენელნი საბჭოში მონაწილეობას სათათბირო ხმის უფლებით მიიღებს.

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მაისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1485 №-ში 1927 წ. მაისის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარი № 18 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მაისის 25

118. სასწავლო თავმოყრისა, მოძრავი თავმოყრისა, საველე მიმოსვლისა და სამხედრო თამაშისათვის გაწვეული სათადარიგო სამეთაურო შედგენილობის უფლებათა და უპირატესობათა შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში შემოდის საჩივრები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და საწარმო უარს ეუბნება სამეთაურო შედგენილობის პირთ სამსახურში მიღებაზე მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მათ მოსახდელი აქვთ სამეთაურო შედგენილობისათვის დაწესებული სასწავლო თავმოყრა, და, მაშასადამე ისინი უნდა მოსცდნენ ხოლმე თავიანთ მოვალეობას სამოქალაქო სამსახურში; ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურში მიღებულ სამეთაურო შედგენილობის პირთ ავიწროებენ, სდევნიან, ხანდახან სამსახურიდანაც ითხოვენ, როდესაც გამოიარკვევა ხოლმე, რომ მათ სამხედრო თავმოყრა აქვთ მოსახდელი. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც სათადარიგოდ მყოფი სამეთაურო შედგენილობის პირი, მიმდინარე წელს სასწავლო თავმოყრაზე გაწვეული, დაწესებულებას თუ საწარმოს სამსახურიდან დაეთხოვნია სამხედრო კომისარიატისაგან გაწვევის შესახებ უწყების მიღებისთანავე და ეს დათხოვნა ვითომდა თანამდებობის შემცირებად გამოუცხადებია.

შრომის სახალხო კომისარიატს ასეთი მოკერძოებული სამეთაურო შედგენილობის პირთა მიმართ დაწესებულებისა და საწარმოს მხრით შეუსაბამოდ მიაჩნია და ამაში იგი სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 24-ს დადგენილების მე-4 მუხლისა და 1926 წ. მარტის 22-ს დადგენილების მე-2 მუხლის დარღვევასა ჰხედავს. ზემოაღნიშნული დადგენილების დასახელებული მუხლებით გათვალისწინებულია, რომ როდესაც ხანგრძლივ შვებულებაში ან სათადარიგოდ მყოფი სამეთაურო შედგენილობის პირი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის სამსახურშია და იგი გაწვეულ იქნება სასწავლო თავმოყრისა, მოძრავი თავმოყრისა, აღლუმისა, საველე მიმოსვლისა და სამხედრო თამაშისათვის, მას თანამდებობა და ჯამაგირი უნდა შეენახოს.

ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული წესის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება სრული ლიკვიდაცია იმ დაწესებულებისა, საწარმოს თუ მეურნეობისა ან ლიკვიდაცია დაწესებულებისა, საწარმოს თუ მეურნეობის იმ ნაწილისა, სადაც გაწვეული მუშაობს, ან და, როდესაც წარმოებითი ხასიათის მიზეზით მუშაობა შეჩერებულ იქნება ერთ თვეზე მეტი ხნით, ავრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ ძალაში შევა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გაწვეული გამტყუენებულია ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რაც პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირ მის მუშაობასთან არის დაკავშირებული; სხვა შემთხვევაში-კი ყველა საჴელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება, საწარმო თუ მეურნეობა მოვალეა მტკიცედ დაიცვას სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებების მე-4 და 1-ლი მუხლი.

სახელმწიფო საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებისა, საწარმოს თუ მეურნეობის მიერ აღნიშნული დადგენილებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს იმ პირის პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის წესით, ვინც ეს დადგენილებები დაარღვია.

ამის გამო ა/კ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს აზერბაიჯანის სსრ-სა, საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს შრომის სახალხო კომისარიატებს გააძლიერონ ზედამხედველობა ამგვარ საქმისათვის და ზემოაღნიშნული დადგენილების დამრღვევი პირნი კანონიერ პასუხისგებაში მისცენ ხოლმე.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კომ-ტის საერთო-საორგ.

განყ. გამგის მოადგილე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1485 №-ში 1927 წ. მაისის 26-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

119. ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ შავიზღვის ნავთსადგურებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სასყიდლის ნორმის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-სა და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 27-ს თარიღისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 მე-11 №-რი, მუხ. 724) და 1926 წ. დეკემბრის 27-ს თარიღის (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 3) დადგენილებათა შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1926 წ. სექტემბრის 27-ს დადგენილების მე-5 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. სასყიდლის კონკრეტული ნორმები და უნიფიციული განაკვეთები განხორციელებულ იქნეს ამა დადგენილების საფუძველზე 1927 წლის ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მაისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1486 №-ში 1927 წ. მაისის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

120. სახელმწიფო სამშენებლო საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სამშენებლო სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდებების დამტკიცებისა და თვით საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ 1925 წლის ნოემბრის 9-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 545) დადგენილების გამონაკლისად, რომელი დადგენილებაც დამატებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 1-ს თარიღის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-რი, მუხ. 56), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დაწესებულ იქნეს კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო სამშენებლო საწარმოთათვის და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათათვის (საპაიო ამხანაგობათათვის) შემდეგი გამონაკლისი:

1) სამშენებლო სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დამფუძნებელთა რიცხვი არ შეიძლება იყოს ორზე ნაკლები.

2) უკეთუ სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის არის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ან მისი ქვემდებარე საწარმო, საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ საეალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილი დადგენილებანი დამტკიცებულ იქნენ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ:

ა) საზოგადოების (ამხანაგობის) მმართველობისა, სარევიზიო და ალიკვიდაციო ორგანოების შედგენილობის შესახებ;

ბ) საფინანსო-საწარმოო გეგმების დამტკიცების შესახებ;

გ) წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ (ამასთანავე ბალანსის დამტკიცება, მოგების განაწილება და ზარალის დაფარვის საშუალებათა გამორკვევა მოხდება იმ საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათათვის);

დ) დამხმარე სამრეწველო საწარმოთა გახსნის შესახებ;

ე) საზოგადოების (ამხანაგობის) წესდების შეცვლისა და ლიკვიდაციის შესახებ.

ამა მუხლში აღნიშნული შემთხვევისათვის წესდებით შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს უფლება საგანგებო საერთო კრების მოწვევისა.

3) კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო სამშენებლო საწარმოს წესდებაში აუცილებლად აღნიშნული უნდა იყოს ის რაიონი, რომლის ფარგლებშიაც უწყებულ საწარმოს უფლება აქვს აწარმოოს სამშენებლო მუშაობა და გახსნას თავისი ფილიალები და წესდებით ნებადართული დამხმარე საწარმონი.

შენიშვნა. მომქმედ კანონმდებლობასთან შეთანხმებით იგივე წესი შეეფარდება აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას).

4) მე-3 მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო საწარმოს და სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას) ეკრძალება იკისროს ნარდი მუშაობის ხელშეკრულებით ვალდებულება ერთი საოპერაციო წლის განმავლობაში ისეთი თანხის სამუშაოს შესრულებისა, რაც თორმეტზე მეტჯერ აღემატება მის საწესდებო კაპიტალს (ხელო სააქციო საზოგადოებისა და საპაიო ამხანაგობისათვის—ფაქტიურად შეგროვილ ძირითად კაპიტალს).

II. წინადადება ეძლევათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ სათანადო რესპუბლიკების კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს და ამასთანავე ანგარიშში მიიღონ, რომ საზოგადოების (ამხანაგობის) საერთო კრების დადგენილებას სათანადო შემთხვევაში ამტკიცებს რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელსაც აგრეთვე უფლება ეძლევა მოიწვიოს სათანადო შემთხვევაში საგანგებო საერთო კრება.

ა/კ. ცენტრალული აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1486 №-ში 1927 წ. მაისის 27-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

121. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 24, 26, 28, 30 და 34 მუხ. დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 24 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის მე-3 შენიშვნა:

„**შენიშვნა 3.** ქ. ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათუმში და სოხუმში ამა მუხლის მე-3 დანაყოფით გათვალისწინებული პატენტის ფასისა და სათანაბრო გამოსაღების განაკვეთის ზედნართი შეიძლება დაწესებულ იქნეს ყველა იმ საწარმოსათვის, რომელიც, სათანადო ადგილობრივი ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით, ვაჭრობას 22 საათზე გვიან აწარმოებს“.

II. 26 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„26. 24 მუხ. ჩამოთვლილი ზედნართების გარდა, ადგილობრივ სახსარში მიიქცევა:

ა) იმ საწარმოთა სათანაბრო გამოსაღების ზედნართი, რომელნიც დაიბეგრებიან ცენტრალიზური წესით,—აღნიშნული გამოსაღების განაკვეთის 100%-ს რაოდენობით;

ბ) სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) საშემოსავლო გადასახადის ზედნართი—აღნიშნული გადასახადის განაკვეთის 25%-ს რაოდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებული ზედნართების გამოანგარიშებისა, გადახდევინებისა და განაწილების წესი განისაზღვრება ამა დადგენილებასთან დართული წესებით (დანართი).

III. 28 მუხლს დაემატოს „ი“, „კ“, „ლ“, „მ“ „ნ“ და „ო“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა.

„ი) სახელმწიფო საშრომო შემნახველი სალარონი;

„კ) სახელმწიფო დაზღვევის ორგანო ყველა იმ ოპერაციის ფარგალში, რასაც იგი სახელმწიფო დაზღვევისათვის აწარმოებს, აგრეთვე დამაზღვეველი და სარგებლობის მიმღები—სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს მიერ მათთვის გადახდილი საზღაურის ფარგლებში.

ლ) დამაზღვეველი და სარგებლობის მიმღები—იმ სადასაზღვევო საზღაურის ფარგალში, რასაც ისინი, სააქციო საზოგ. „კრედიტ-ბიურო“-ს მეშვეობით, უცხოეთის დამზღვევ საზოგადოებათაგან მიიღებენ;

მ) ის ოქროს შრეწველი კოოპერატიული და კერძო საწარმო (ცალკე მოსაქმეებისა და მათი არტელების გამოუკლებლად), რომლის წლიური ნაყოფიერება არ აღემატება 15 ფუთ 1.000-სინჯიანი წმინდა ოქროს ამოღებას—ამ ოპერაციების ფარგალში, რაც დაკავშირებულია ოქროს ყიდვასა და საქონელზე გაცვლასთან შეძენილი მეტალის ღირებულების რაოდენობით, თანაც იმ პირობით, რომ აღნიშნული საწარმო არ ეწეოდეს ოქროს ძებნას სხვა მადნეულის დამუშავების შესაფერი წესით;

ნ) აფთიაქი, სანატორიუმი, დასვენების სახლი, საჩაიე და სასადილო, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები და მარტოოდენ ამ სახელოსნოებით დამზადებული საგნების მოვაჭრე სავაჭრო საწარმონი, რომელთა ექსპლოატაციასაც უშუალოდ, იჯარით გაუცემლად, ეწევიან ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ბავშვთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიები, და აგრეთვე ასეთივე ექსპლოატაციის მწარმოებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა სიებსაც შეადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები სათანადო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ბავშვთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიებთან შეთანხმებით;

ო) წყალში დაღუპვისაგან გადამარჩენი მოხალისეთა საზოგადოება—იმ ქონების ფარგალში, რაც გამოსადეგია და საექსპლოატაციოდ გამოიყენება დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით, ხოლო არა მოგების მიზნით.

IV. 30 მუხლს დაემატოს „ნ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ნ) იმ სასრიალოს, სათხილამურო სადგურისა და მაქნების ნაგებობა, რაც ფიზიკური კულტურის საბჭოებისა და პროფესიონალური კავშირების გამგებლობაშია, ხოლო იმ პირობით, უკეთუ ამ ნაგებობის ექსპლოატაციას აღინიშნული საბჭოები და პროფესიონალური კავშირები უშუალოდ ეწევიან, იჯარით გაუცემლად.

V. 34 მუხლს დაემატოს „ე“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ე) რკინისგზით და წყალსავალი გზით გადასაზიდი ქონება სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის იმ მუშისა და მოსამსახურისა, რომელიც სამსახურის გამო ერთი ადგილიდან მეორე ადგილას არის გადაყვანილი“.

VI. დადგენილება ესე (3. II)—ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 26 მუხლის შეცვლის შესახებ—სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. ოქტომბრის 1-დან.

დანართი ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 26 მუხლისა:

„წესები ცენტრალიზური წესით დასაბეგრ საწარმოთა სათანაბრო გამოსაღების ზედნართისა და აგრეთვე სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) საშემოსავლო გადასახადის ზედნართის გამოანგარიშებისა, გადახდევინებისა და ადგილობრივ სახსართა შორის განაწილების შესახებ.

1. ცენტრალიზური წესით დასაბეგრ საწარმოთა სათანაბრო გამოსაღების ზედნართის გამოანგარიშება და გადახდევინება და აგრეთვე ამ ზედნართის განაწილება იმ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებ შორის და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების იმ მაზრებს შორის, სადაც დასაბეგრი საწარმოს დაწესებულება და გამგეობა იმყოფება—მოხდება სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის 1926 წლის 24 სექტემბრის დებულების 31, 33 და 34 მუხლ. გათვალისწინებულ საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 63 №-რი, მუხ. 474).

2. სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) საშემოსავლო გადასახადის ზედნართის გამოანგარიშებას აწარმოებს დასაბეგრი იურიდიული პირის გამგეობა მისი ხვედრი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გამოანგარიშებასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. უკეთუ გამგეობა ანგარიშს არ წარადგენს, რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის განსაზღვრასთან ერთად, გამოიანგარიშებს ამა მუხლში აღნიშნული ზედნართის რაოდენობას და სათანადო შემთხვევაში გაანაწილებს ამ ზედნართის კუთვნილებისამებრ მე-3 მუხლში გათვალისწინებული წესით.

3. უკეთუ დასაბეგრი იურიდიული პირის ცალკე დაწესებულება და გამგეობა სხვადასხვა ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში, აგრეთვე ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრაში იმყოფება,—მე-2 მუხლში აღნიშნული ზედნართები ამ ერთეულთა შორის განაწილდება პროპორციულად იმ პატენტების საერთო ღირებულებისა, რაც აღებულ იქნება თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში, აგრეთვე თვითეულ მაზრაში იურიდიული პირის იქ მყოფი დაწესებულებისა და გამგეობისათვის ამა თუ იმ საშენაწერო წელს. აღნიშნულ განაწილებას მოახდენს დასაბეგრი იურიდიული პირის გამგეობა მისი ხელერი საშემოსავლო გადასახადის ზედნართის საერთო თანხის გამოანგარიშებასთან ერთად.

4. რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია, საწარმოს ხელერი საშემოსავლო გადასახადის თანხის შემოწმების დროს, შეამოწმებს აგრეთვე სისწორეს ადგილობრივ სახსართათვის ზედნართის გამოანგარიშებისას და ამავე ზედნართის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებსა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მაზრებ შორის განაწილებისას, და დაადგენს: ან, რომ ანგარიში სწორეა ან და რომ ანგარიში შესასწორებელია და ზედნართი ხელახლად გასანაწილებელი აღნიშნულ ერთეულებ შორის, თანაც გადასწყვეტს—გადამხდელს გადაუხდელი თანხა გადაჰხდეს, ხოლო, უკეთუ ზედმეტია გადახდილი, იგი მას გაებაროს იმავე საშენაწერო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთში, ან შემდგომი პერიოდის განაკვეთებში, ან და ზედმეტი დაებრუნოს გადამხდელს.

5. მე-2 მუხლში აღნიშნული ზედნართები შეიტანება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში დასაბეგრი იურიდიული პირის გამგეობის მიერ, საშემოსავლო გადასახადის შეტანასთან ერთად, თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქისა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების თვითეული მაზრის ანგარიშზე იმ რაოდენობით, რაც, მომხდარი განაწილების თანახმად, თვითეულ ამ ერთეულს ერგება (მუხ. 3).

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მაისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1486 №-ში 1927 წ. მაისის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 2 აჩეფსურ შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწვ. და სასურსათო საქონლის სამმართველოდ)

1927 წ. მაისის 26.

22. ხეტყის მასალის საბითუმო და ცალობითი ფასების უკიდურესი წანამატის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/ჯსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. აპრილის 1-ლის თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1927 წ. თებერვლის 8-ს თარიღისა და 5/120 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციის მიერ იმ დახერხილი და რგვალი ნორმალური სპეციფიკაციის ხეტყის მასალის გაყიდვისათვის, რაც ა/კსფსრ ფარგლებში შემოზიდული იქნება სხვა რესპუბლიკებიდან, დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წანამატი სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ საარეისკურანტო ფასებზე:

ა) უკეთუ სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო საწარმო გაპყიდის ხეტყის მასალას წარმოების ადგილს ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგური ან ბორჯა-ნავსაყუდი, რომელიც უახლოეს მანძილზეა წარმოების ადგილიდან, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 8 თარიღისა და 5/120 №-რის დადგენილებით საწარმოო ფასებზე დაწესებული წანამატი $8^1/_2$ პროც. რაოდენობით გაუქმდება;

ბ) უკეთუ ხეტყის მასალა გაიყიდება „ა“ პუნ. თანახმად, ხოლო საქონლის თვისებითი და რაოდენობითი ჩაბარება მყიდველისათვის უნდა მოხდეს დანიშნულების სადგურზე, წანამატი დაწესდება $3^0/_0$ რაოდენობით;

გ) უკეთუ ხეტყის მასალა გაიკეთა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციის საწყობიდან მოხმარების ადგილს წანამატი საპრეისკურანტო ფასებზე დაწესდება $10^0/_0$ რაოდენობით.

დ) უკეთუ საქონელი გაიცემა ტყის სინდიკატისა და მოხმარების ადგილზე მყოფი მომზიდველი ტყის ტრესტის საწყობიდან, უკიდურესი წანამატი სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ საპრეისკურანტო ფასებზე დაწესდება $7^0/_0$ რაოდენობით.

§ 2. წინადადება იძლევა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს საკართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში, ამა დადგენილების 1-ლი §-ს მიხედვით, სათანადოდ შესაკვალონ ადგილობრივი ტყის ტრესტებისა, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ქარხნების საბითუმო ფასებზე ფრანკო-ქარხანა არსებული წანამატები და აგრეთვე:

1) ფრანკო-სადგური, რომელიც წარმოების ადგილზე უახლოეს მანძილზეა;

2) ფრანკო-სადგური, რომელიც წარმოების ადგილზე უახლოეს მანძილზეა, ხოლო საქონლის თვისებითი და რაოდენობითი ჩაბარებით მყიდველისათვის დანიშნულების ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხეტყის მოვაჭრე ორგანიზაციის საწყობი, რომელიც მოხმარების ადგილას არის.

§ 3. ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნული წანამატები მიიღება გამოუსელელი ხეტყის გაცემის დროს. ხოლო გამოსული ხეტყის გაცემის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს დამატებითი წანამატები წინა პუნქტებში აღნიშნულ წანამატებზე. დამატებითი წანამატების ნორმებს, მასალის სიხშელეს და მათი შეფარდების წესს განსაზღვრავს თვითეული ცალკე შემთხვევაში ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში, როგორიც ამა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი წარმოებითი ორგანიზაციებისათვის, ისე მოვაჭრე ორგანიზაციებისათვისაც.

§ 4. ყოველი სატრანსპორტო ხარჯი და დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და წყობილად დალაგების ღირებულება მიემატება წინა პარაგრაფებში აღნიშნულ წანამატებს ნამდვილი ღირებულების რაოდენობით.

§ 5. ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნული უკიდურესი წანამატები გავრცელდება დახარხილ და რგვალ ხეტყის მასალაზე, ისეთი სპეციალური ხასიათისა, თვისებისა და გამოსულობის ხეტყის მასალის გამოკლებით, რაც გაკეთებულია განსაკუთრებული ტეხნიკური მიზნით.

§ 6. ზემოაღნიშნული უკიდურესი წანამატების რაოდენობა დაწესებულია ნაღდ ანგარიშგასწორების გარიგებისათვის; ხოლო, უკეთუ ხეტყე ნისიად გაიყიდება, სანისიო ხარჯი მყიდველს მიეწერება.

§ 7. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სს-ში დააწესებენ თვითეული ცალკე პუნქტისათვის სატრანსპორტო ხარჯისა და დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და წყობილად დალაგების ხარჯების ნამდვილი ღირებულების რაოდენობას, და აგრეთვე—კონკრეტულ უკიდურეს ფასებს ყველა მოვაჭრე ორგანიზაციისათვის—ამა დადგენილების წინა პარაგრაფების საფუძველზე.

§ 8. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 9. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორიც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისთვის ჩაუბარებელ პროდუქციას.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურსათო საქონლის
სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1487 №-ში 1927 წ. მაისის 28-ს.

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1866. ტირაჟი 800.